პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 196 (10282) | პარასკევი, 19 აგვისტო, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ხალხებს გადაწყვეტილი აქვთ განამტკიცონ მშვიდობა. — „პრავდის“ 18/VIII მოწინავე (I-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (I-ლი გვერდი).

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე (I-ლი გვერდი).

გ. ლამბაშიძე. — კომუნისტთა დამოუკიდებლად სწავლება (მე-2 გვერდი).

სათავეში ჩავუდგეთ მასების შრომითს აქტივობას (მე-2 გვერდი).

გ. ნოდია. — წალენჯიხის რაიონში (მე-2 გვერდი).

უკრაინიდან დაბრუნდა ბათუმელ კოლმეურნეთა დელეგაცია (მე-2 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

ქრონიკა. — ნ. შველიძე. — „აჩრდილები მწვერვალებს ტოვებენ“ (მე-3 გვერდი).

ვ. მიხეევი. — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ხუთწლედი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).

ხალხებს გადაწყვეტილი აქვთ განამტკიცონ მშვიდობა

ყველა ქვეყნის ხალხები მხურვალედ მიესალმნენ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგებს, თათბირისა, რომელმაც დასაწყისი მისცა ახალ ეტაპს სახელმწიფოთა ურთიერთობაში. მშვიდობისმოყვარე ძალების შეუპოვარი ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა. ახლა გახსნილია სადაო საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის გზა. არსებობს რეალური შესაძლებლობა მივაღწიოთ ხანგრძლივ და მტკიცე მშვიდობას, აღვკვეთოთ ახალი ომის საფრთხე და გამალებული შეიარაღება, ვიხსნათ ადამიანები ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის საშინელი, დამანგრეველი მოქმედებისაგან.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგები აღფრთოვანებენ ხალხთა ფართო მასებს გააღვივონ ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მატებენ მათ ახალ ძალებს და თავიანთი სამართლიანი საქმის წარმატების მტკიცე რწმენას. მშვიდობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას, ამბობს ახლა მილიონობით ადამიანი ყველა ქვეყანაში, შეიძლება და საჭიროა განმტკიცდეს ხალხთა შორის ურთიერთგაგება და მეგობრობა. ახლა სულ უფრო მეტ ადამიანს ესმის, რომ მშვიდობისაკენ მივყავართ არა „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას, რომლის უშედეგობა და საშიშროება თვით ისტორიული განვითარების მსვლელობამ დაამტკიცა, არამედ დიდი და პატარა ქვეყნების კანონიერ უფლებათა დაცვის პოლიტიკას, კოლექტიური უშიშროებისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში ყველა სახელმწიფოს თამამშრომლობის უზრუნველყოფის პოლიტიკას, მიუხედავად მათი სოციალურ-ეკონომიური სისტემების განსხვავებისა.

თავიანთი ხურვილებსა და მისწრაფებებს ხალხები ნათლად და აშკარად აცხადებენ. 16 აგვისტოს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ გამოაქვეყნა პირველი ცნობები ატომური ომის მზადების წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს იმ მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა ვენაში 1955 წლის 19 იანვარს. ამ საუოველთაო-სახალხო კამპანიის შვიდი თვის განმავლობაში მიმართვას ხელი მოაწერა 655 მილიონ 963 ათას 811 კაცმა.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ცნობაში მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებენ ჩვენი დროის ამ დიადი მოძრაობის განუხრელ ზრდას. მაგალითად, სტოკჰოლმის მოწოდებას ხელი მოაწერა 482 მილიონმა კაცმა, მშვიდობის პაქტისათვის მიმართვას — 612 მილიონმა, ხოლო ვენის მიმართვას — 655 მილიონზე მეტმა კაცმა. იაპონიაში ატომური იარაღის აკრძალვას მიემხრო იაპონიის მოელი მოსახლეობის მესამედი, იტალიაში — 12 მილიონი, ინდონეზიაში — 2,5 მილიონი. საბჭოთა კავშირში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, იაპონიასა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში კამპანია პრაქტიკულად დამთავრდა, სხვა ქვეყნებში იგი გრძელდება.

ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემა ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი, ჯერ კიდევ მოქმედებენ მშვიდობისსმდმი მტრული წრეები. ამ პირობებში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნო სრულიად სამართლიანად აღნიშნავს: „განვაგრძობთ და გავაძლიერებთ რა ამ კამპანიას, ჩვენ შეგვიძლია მოვაახლოოთ ატომური იარაღის აკრძალვისა და მოსპობის მომენტი, უზრუნველვყოთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და გავადვილოთ იმ პრობლემათა გადაჭრის გამონახვა, რომლებსაც განიხილავს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი მომდინარე წლის ოქტომბერში, მივაღწიოთ აზიაში მდგომარეობის გაუმჯობესებას“.

მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა, რომელიც ჰელსინკში გაიმართა, და გადაწყვეტილებანი, რომლებიც მან მიიღო, დიდ როლს ასრულებენ მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის აღმავლობის საქმეში.

ატომგულის იარაღის აკრძალვისათვის მოძრაობაში საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო წრეები ებმებიან. თვალსაჩინო მეცნიერები და დიდი ორგანიზაციები, მათ შორის ინგლისისა და ამერიკის პროფკავშირები, კოოპერაციული კავშირები, ეკლესიები, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების მეთოდისტური და პრესვიტერული ეკლესიები, მოითხოვენ მსოფლიოს დაცვას ატომური ომის საფრთხისაგან.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც ამას წინათ ხიროსიმაში მიმდინარეობდა. მის მუშაობაში მონაწილეობდა იაპონიისა და უცხო ქვეყნების ხუთი ათასზე მეტი წარმომადგენელი. ამ კონფერენციამ, რომელიც მოწვეულ იქნა იმ დღეებში, როცა ათი წელი შესრულდა პირველი ატომური დაბომბვის მომენტიდან, ასახა მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანთა ფიქრები და მისწრაფებანი. მან ხელი შეუწყო იმას, რომ სხვადასხვა შეხედულების, სხვადასხვა პოლიტიკური რწმენისა და სარწმუნოების ადამიანებმა გააერთიანონ ღონისძიებანი იმისათვის საბრძოლველად, რომ აღარასოდეს გამეორდეს ხიროსიმის ტრაგედია!

ხალხები მოლოდინობენ, რომ ადამიანის გონების უდიდესი მიღწევა — ატომის ენერგია გამოყენებულ იქნას არა ნგრევის მიზნით, არამედ შეფოქმედების მიზნით კაცობრიობის საკეთილდღეოდ, მშვიდობიანი მიზნით.

ამ დღეებში მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანი იმედით ადევნებს თვალყურს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციის მუშაობას. ისტორიაში პირველად ხდება, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები და ინჟინრები შეიკრიბნენ ჟენევაში, რათა განიხილონ ატომის ელექტროდანადგართა და ელექტროსადგურთა შექმნის უმნიშვნელოვანესი საკითხები, ატომგულის ენერგიასთან მუშაობის დროს შრომის ჰიგიენისა და უშიშროების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, სამეცნიერო-კვლევით მუშაობასა და მედიცინაში რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების პრობლემები. კონფერენციაზე წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერები, რომლებმაც ცხადყვეს საბჭოთა კავშირის დიდი მიღწევები ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში.

მშვიდობისადმი ხალხთა მისწრაფების მძლავრი დემონსტრაცია იყო აგრეთვე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მშვიდობის და მეგობრობის მეხუთე მსოფლიო ფესტივალი. ვარშავის ფესტივალზე შეიკრიბა 114 ქვეყნის 30 ათასი ქალაშვილი და ჭაბუკი. თავიანთ მომართვაში ფესტივალის მონაწილეებმა განაცხადეს: „იმედის ამ წელს, ოთხი დიდი სახელმწიფოს ჟენევის თათბირის შემდეგ, ჩვენმა შეხვედრამ დაამტკიცა, რომ შეგვიძლია ვიმოქმედოთ ერთად, მიუხედავად რელიგიური, რასობრივი და ეროვნული განსხვავებისა...“ ფესტივალის მონაწილეებმა მოუწოდეს ყველა ქვეყნის ახალგაზრდობას კიდევ უფრო გააძლიეროს ბრძოლა მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

ხალხთა სულ სხვადასხვა ფენები — მუშები, გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, ქალები, ახალგაზრდობა, გარკვეული საქმიანი წრეები — სულ უფრო გადაჭრით ებმებიან მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის ბრძოლაში. მათ იმედი აქვთ, რომ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირს, რომელმაც ახალი ვითარება შექმნა საერთაშორისო ურთიერთობაში, მოჰყვება ეფექტიანი ზომა ატომგულის კონსტრუქციული ნაბიჯები საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიზნით. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი მხურვალედ იწონებს საბჭოთა მთავრობის ინიციატივას, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება 1955 წლის 15 დეკემბრისათვის 640 ათასი კაცით შეამციროს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები და ამით ცხადყო განიარაღების პრობლემის პრაქტიკული გადაჭრის მაგალითი.

ამ ბოლო დროის ფაქტები მოწმობენ, რომ დაიწყო მშვიდობის დაცვისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ახალი მძლავრი აღმავლობა. მიღწეული წარმატებებით აღფრთოვანებული კეთილი ნების ადამიანები აძლიერებენ თავიანთ სიფხიზლეს აგრესიული წრეების ხრიკების წინააღმდეგ, რომლებსაც არა სურთ ხელი აიღონ მათთვის სანუკვარ „ცივ ომზე“. მშვიდობის მოძრაობა მთელი ენერგიითა და ორგანიზებულობით ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემები მშვიდობიანი გზით გადაიჭრას.

მშვიდობისათვის მებრძოლებმა, აღნიშნავს თავის განცხადებაში ფრედერიკ ჟოლიო-კიური, ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოებრივი აზრის გამოვლინებას ისეთი ძალით, რომ ნამდვილად მიღწეულ იქნას შეთანხმება ატომგულის იარაღის მოსპობისა და საყოველთაო განიარაღების შესახებ, კოლექტიური უშიშროების სისტემის ორგანიზაციის შესახებ, გერმანიის გაერთიანების შესახებ, რაც შექმნიდა იმის გარანტიას, რომ შეუძლებელი გახდეს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, მიღწეულ იქნას შეთანხმება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის გაუჯობესების შესახებ. საზოგადოებრივი აზრი უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ მტკიცედ და ნათლად გამოთქვას თავისი მოსაზრებანი იმ საკითხებზე, რომლებიც მას ხამართლიანად მიაჩნია განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვნად.

ხალხთა ხალხი ყოველ ღონეს იხმარს, რათა მშვიდობისათვის ბრძოლაში დაწყებული ახალი ეტაპი დიდი გამარჯვებებით დამთავრდეს. მშვიდობისათვის მებრძოლები ისახავენ გარკვეულ და ნათელ მიზანს — მიაღწიონ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, გაათავისუფლონ ხალხები ომის შიშისაგან, ჩაუნერგონ მათ იმის რწმენა, რომ შეუძლიათ მშვიდად იცხოვრონ და იშრომონ მომავალ თაობათა საკეთილდღეოდ და სიბედნიეროდ.

„პრავდის“ 18/VIII მოწინავე.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ახალი ტომი ნორვეგიულ ენაზე

ოსლო, 18 აგვისტო. (საკ.). როგორც გაზეთი „ფრიჰეტენი“ იუწყება, გამომცემლობა „ნიუ დაგმა“ ნორვეგიულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა ახალი ტომი. ტომი შეიცავს ნაშრომს „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“.

აქმოლინსკის ოლქმა გადაჭარბებით შეასრულა ყამირის ხვნის გეგმა

ალმა-ათა, 17 აგვისტო. (საკ.). აქმოლინსკის ოლქის კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს მომავალი წლის მოსავლისათვის ყამირი და ნასვენი მიწების ხვნის გეგმა. მათ მოხნეს 1.641 ათასი ჰექტარი — 340 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე დაგეგმილი იყო.

სულ ორი წლის მანძილზე ოლქში მოხნულია 3.287 ათასი ჰექტარი ყამირი. ამან მნიშვნელოვნად გაადიდა ხორბლისა და სიმინდის წარმოება. სათესი ფართობი ოლქში ორნახევარჯერ გადიდდა.

გრძელდება ყამირის ახალი მასივების ხვნა.

საბჭოთა საქართველოს დღე

★

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

შრომითს ვახტზე

ტყიბული. (საკ. კორ.). დიდი შრომითი აღმავლობაა სტალინის სახელობის შახტში, რომლის კოლექტივმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით მესამე ადგილი მოიპოვა. აღფრთოვანებული მეშახტეები პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგნენ და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. აგვისტოს პირველ ნახევარში ქვანახშირის ამოღების დავალება 115,3 პროცენტით შეასრულეს; განსაკუთრებით დაწინაურდა მეხუთე უბანი, რომელსაც შ. შოთაძე ხელმძღვანელობს. ამ უბანმა 25 დღით ადრე გაანაღდა 8 თვის დავალება და ამჟამად სექტემბრის ანგარიშში მუშაობს. მაღალ წარმატებებს აღწევენ იმ უბნების კოლექტივები, რომლებსაც ა. გაბრიაძე და ს. გოცაძე ხელმძღვანელობენ.

ახალციხელ მეშახტეთა შეჯიბრება

— წლიური გეგმა შეასრულოთ ერთი თვით ადრე, შრომის ნაყოფიერება გავადიდოთ 10 პროცენტით, ტონა ნახშირის თვითღირებულება შევამციროთ 5 პროცენტით, ნაცრიანობა — 0,5 პროცენტით, გავწიოთ სამაგრი მასალის ეკონომია — ასეთია ახალციხელ მეშახტეთა საწარმოო ვალდებულებები, რომლებიც მათ იკისრეს პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას. შეჯიბრებაში ჩაება ორივე შახტის ყველა საექსპლოატაციო უბანი და ყველა მეშახტე.

უკვე დაწინაურდნენ ახალი ადამიანები, რომლებიც მაღალნაყოფიერი შრომის საუკეთესო ნიმუშებს გვაძლევენ. ერთ-ერთი ასეთია კომკავშირელი მნგრეველი ს. ლომიძე. იგი ცვლის ნორმებს სისტემატურად 180-190 პროცენტით ანაღდებს. ამ მოწინავე ადამიანს მხარს უმშვენებს კომუნისტი მნგრეველი ს. გალუსტიანი. მან 7 თვის გეგმა 169 პროცენტით შეასრულა.

ახალციხის შახტებში ქვანახშირის მოპოვების შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად შახტების სამმართველო შეუდგა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელებას.

მაგრამ ნაკლი ჯერ კიდევ ბევრია. აჭიანურებენ ტექმინიმუმის შემსწავლელთა წრეების ჩამოყალიბებას, შახტში სამაგრი ხე-ტყის შეზიდვის მოწესრიგებას. ყოველივე ეს ხელს უშლის პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად მეშახტეების მიერ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლას.

ე. ხარებავა,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

★ ★

მოწინავეთა გამოცდილება მასებს

როგორ ვაღწევ წველადობის გადიდებას

პატარაობიდანვე შემიყვარდა მწველავის საპატიო საქმე. როცა დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დავადექი და ჩემი პროფესიის არჩევაზე მიდგა ჯერი, უყოყმანოდ მწველავობაზე შევჩერდი. ამჟამად მეცხოველეობაში მუშაობის 18 წლის სტაჟი მაქვს და ისიც განუწყვეტლივ ერთ კოლმეურნეობაში — თბილისის გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში.

ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებდი წველადობის დავალებებს, მაგრამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს უკანასკნელ ხანებში მივაღწიე. მაგალითად, შარშან მომავრებული 14 ძროხიდან თვითეულზე მივიღე 3.300 კილოგრამი რძე და გეგმას 1.000 კილოგრამით გადავამეტე.

ახალი შრომითი მიღწევებით ვუპასუხე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებმაც ამოცანად დაგვისახეს უახლოეს წლებში ერთთონრად და მეტად გავადიდოთ მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება. უკვე კარგა ხანია გავანაღდე წველადობის მიმდინარე წლის დავალება — 1 აგვისტოსათვის თვითეულ ძროხაზე მივიღე და კოლმეურნეობას ჩავაბარე 3.026 კილოგრამი რძე, რაც 526 კილოგრამით სჭარბობს გეგმიან დავალებას. წლის ბოლომდე სამშობლოს თვითეულ ძროხაზე დამატებით მივცემ 1.000 კილოგრამ რძეს.

თათბირებზე და კერძო საუბრებში ხშირად მეკითხებიან, თუ რით ვაღწევ წარმატებას.

ჩემს მიღწევებში საადუმლო არაფერია. მეუბრალო გლეხის ქალმა, რომელსაც არ მიმიღია დიდი ზოგადი და სპეციალური განათლება, მაღალ მაჩვენებლებს მივაღწიე მხოლოდ ბეჯითი შრომით, საქმის სიყვარულით და მოწინავე მწველავთა გამოცდილების გამოყენებით.

მაღალი წველადობის მიღწევისათვის პირველ ნაბიჯებს ვდგამ. ჯერ კიდევ პირუტყვის სიმშრალის პერიოდში — ვზრუნავ ძროხების კარგად კვებასა და ხმოების მოგებისათვის ყოველმხრივ მომზადებაზე.

ძროხებს ვაშრობ მოგებამდე ორი თვით ადრე. წველის შეწყვეტამდე ათი დღით ადრე კვების რაციონიდან ვიღებ სილოსსა და ძირნაყოფებს, ხოლო ხუთი დღით ადრე კონცენტრირებულ საკვებს. ზაფხულის პერიოდში ძროხების გაშრობისას ვწყვეტ მათ კვებას მწვანე მასითა და კონცენტრირებული საკვებით.

პირუტყვის გაშრობიდან მეექვსე-მერვე დღეს ხელახლა ვიწყებ რაციონში კონცენტრატების შეტანას, ხოლო მეთორმეტე-მეთოთხმეტე დღეს ძროხებს უკვე ვაძლევ საკვების სრულ ნორმას. პირუტყვისათვის ფუძემ გვაქვს თივის, სილოსის, საკვები ძირნაყოფების, ქატოს და სხვ. საკმაო მარაგი.

ზოოტექნიკოსთან ერთად პერიოდულად ვადგენ კვების რაციონს, რომლის შემუშავებისას ვითვალისწინებ თვითეული ძროხის ცოცხალ წონას, მადას, პროდუქტიულობას, აგრეთვე იმას, თუ რომელ ძროხას რა საკვებისაგან აქვს მიდრეკილება. ამ ნიშნების მიხედვით ჩემზე მომაგრებული ძროხები სამ ჯგუფად დავყავი და, ამის მიხედვით, მათი კვების რაციონიც სხვადასხვანაირია. მაღალი ცოცხალი წონის, მეტი პროდუქტიულობისა და მადის მქონე ძროხებს შედარებით მეტ საკვებს ვაძლევ და პირიქით.

პირუტყვის ინდივიდუალურ თვისებათა გათვალისწინება საჭიროა საკვების შემზადების დროსაც. მაგალითად, ძროხა „780“, რომელიც მშრალ ცოტის არ ჭამს, სველს სიამოვნებით შეექცევა. პირიქით იქცევა ძროხა „ურქო“. ცხადია, საკვების შემზადების დროს ვითვალისწინებ მათს ამ „მოთხოვნებს“.

ნ. ქაჯაია.

• • •

თვითეულ მეწველ ძროხას დღეღამეში ვაძლევ 5 კილოგრამ თივას, 6 კილოგრამ სიმინდის ჩალას, 10 კილოგრამამდე კონცენტრატებს, 15 კილოგრამამდე მწვანე ბარდას და ჭარხალს. მეწველი ძროხების რაციონში შეგვაქვს აგრეთვე მინერალური საკვები — მარილი და ცარცი. საკვების წინასწარი შემზადება მექანიზებულია. ეს ხელს უწყობს წველადობის გადიდებას და პირუტყვის მადის გაღვიძებას. დარწყულება სურვილისამებრ ხდება, რადგან ავტოსარწყულებლებში წყალი მუდმივად არის.

ზამთრის კარგ ამინდში ძროხები სუფთა ჰაერზე გავგიყავს დღეში ორიოდე საათით.

ფერმაში და მის ეზოში დაცულია სრული სისუფთავე. ყოველდღიურად ვწმენდავ ძროხებს ჯაგრისით და ვბან თბილი წყლით. ძროხებს ვწველი დღეში სამჯერ. წველის წინ ცურს ვბან თბილი წყლით და შემდეგ ვუმშრალებ მშრალი ტილოთი. წველის წინ და წველის შემდეგ მოვმართავ ცურის მასაჟს.

1953 წელს ბედნიერება მხვდა ვყოფილყავი იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც იყო მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის სოფელ ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. ამ კოლმეურნეობასთან ჩვენ ჩამბმული ვართ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ტიმონინოში ბევრი რამ საგულისხმო ვნახე და ვისწავლე. იქ მიღებულ ცოდნას ჩემს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში ვიყენებ. მუდამ ყურადღებით ვიღებ სპეციალისტთა რჩევა-დარიგებას, ვკითხულობ გაზეთებსა და ჟურნალებს, რომლებშიც მოთხრობილია მეცხოველეობის გაძღოლის მოწინავე ხერხებზე.

მწველავის შრომა დაფასებულია. შარშან კოლმეურნეობაში გაშმუშავებულ 1.746 შრომადღეზე ამდენივე კილოგრამი პური მივიღე, აგრეთვე დავმსახურე ექვსი ათასი მანეთი პრემია.

ჩემს შვილებს, რომლებსაც მამა დიდ სამამულო ომში დაეღუპათ, გაჭირვება არ უგრძვნიათ. მათ ნაყოფიერი შრომის, სწავლისა და დასვენების ყველა პირობა აქვთ.

ჩავები რა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება ვიკისრე ახალი მიღწევებით აღვნიშნო ეს ისტორიული მოვლენა.

ნ. ქაჯაია,
გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი.

თბილისიდან გაემგზავრა იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაცია

18 აგვისტოს თბილისიდან მოსკოვს გაფრინდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაცია ვლადიმერ ბაკარიჩის მეთაურობით, რომელიც აქ სტუმრად იყო.

აეროდრომზე იუგოსლავიის პარლამენტის დეპუტატები გააცილეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ვ. პ. მეკავანაძემ, მ. პ. გიორგაძემ, დ. ვ. მჭედლიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ი. კუპავამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დ. გ. მამაცაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. დ. კუპრაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ს. ს. როსტიაშვილმა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. კ. მაღრაძემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ა. ნ. ინაურმა, ი. ვ. აბაშიძემ, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ მ. ა. კვესელავამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

დელეგაციის გამგზავრების წინ ვ. დ. კუპრაძემ და ვლადიმერ ბაკარიჩმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

(საქდესი).

გეგმის გადამეგზებით

გარეუბნის რაიონის თელეთის მტკვის ზონის კოლმეურნეობებმა 1 აგვისტოსათვის თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 1.203 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.092 ლიტრისა.

მეცხოველეებმა ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს და გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად.

დაიწყო სიმინდის შერჩევითი აღება

წითელწყაროს. (სპეც. კორ.). დაბა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 366 ჰექტარზე კარგად მოვლილი სიმინდის ნათესი აქვთ. იმ ბრიგადამ, რომელსაც ს. ელიზბარაშვილი ხელმძღვანელობს, დაიწყო სიმინდის აღება. აქ ჰექტარზე იღებენ 30 ცენტნერ სიმინდს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14 ცენტნერისა.

სიმინდის აღებას ამ დღეებში შეუდგებიან აგრეთვე სოფლების არხილოსკალოსა და საბათლოს კოლმეურნეობებში.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მიწათმოქმედების პავილიონში

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მიწათმოქმედების პავილიონი ერთ-ერთი ყველაზე დიდი, ყველაზე საინტერესო პავილიონია. მისი დარბაზების სტენდები წარმოდგენილი ექსპონატებით, ფოტომასალებით, დიაგრამებით, წარწერებით მოგვითხრობენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაზე, სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელთა მიერ ამ ბრძოლაში მოპოვებულ წარმატებებზე.

პავილიონის სტენდთაგან ერთ-ერთი მნახველებს აცნობს აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სასახელო საქმეებს. სტენდზე პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს დიდი მხატვრული პანო, რომელიც ასახავს ჩაის პლანტაციას.

ეს სტენდი მოგვითხრობს რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმიანობაზე. ლენინის სახელობის კოლმეურნეობას აქვს 208 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, 110 ჰექტარი ტუნგოს ნარგავები, 240 ჰექტარი ბაღი და ვენახი, 38 ჰექტარი თუთის ხის ნარგავები.

კოლმეურნეობაში წამყვანი დარგია მეჩაიეობა. კოლმეურნეობამ 1953-1954 წლებში საშუალოდ ჰექტარზე 4.873 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღო. ჩაის ფოთლის საერთო მოსავალმა ამ წლებში 7.287 ცენტნერს მიაღწია (1951-1952 წლებში იგი 6.357 ცენტნერს შეადგენდა).

სტენდზე აღწერილია ის ძირითადი ღონისძიებანი, რომელთა გამოყენებითაც კოლმეურნეობის წევრები ჩაის ფოთლის მაღალ მოსავალს იღებენ. აქ წარმოდგენილ ფოტოსურათებზე ნაჩვენებია რიგთა შორის გადახარვა, რასაც კოლმეურნეობაში თებერვალსა და მარტში აწარმოებენ. ერთდროულად კოლმეურნეებს ნიადაგში შეაქვთ მინერალური და ორგანული სასუქების ნაზავი. ბუჩქების გასხვლას კოლმეურნეობა ამთავრებს აპრილის პირველ რიცხვებში. ჩაის ფოთოლს კრეფენ მაისიდან ოქტომბრამდე. ნედლეული დაუყოვნებლივ ბარდება ჩაის ფაბრიკას.

ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლის მიღებისათვის ამ კოლმეურნეობის 13 კოლმეურნეს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. 138 კოლმეურნე დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

მეტად საგულისხმოა მონაცემები ამ კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის შესახებ. კოლმეურნეობის შემოსავალმა შარშან 9 მილიონ 534 ათასი მანეთი შეადგინა. წლითიწლობით იზრდება არტელის განუყოფელი ფონდი. თუ 1940 წელს იგი 3 მილიონ 913 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო 1951 წელს 17 მილიონ 451 ათას მანეთს, შარშან მან 21 მილიონ 672 ათას მანეთს მიაღწია.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს საინტერესო მონაცემები თამბაქოს მოსავლიანობის ზრდის შესახებ. თუ 1951-1952 წლებში კოლმეურნეობაში თამბაქოს მოსავლმა ჰექტარზე საშუალოდ 15,3 ცენტნერი შეადგინა, 1953-1954 წლებში კოლმეურნეებმა ჰექტარზე 16,6 ცენტნერი თამბაქოს ფოთოლი შეტეხეს. ახლა კოლმეურნეობას თამბაქო მოყავს 30 ჰექტარზე.

მეჩაიეობისა და მეთამბაქოობის გარდა კოლმეურნეობაში მეცხოველეობასაც მისდევენ. ამჟამად ლენინის სახელობის კოლმეურნეობას მეცხოველეობის ხუთი ფერმა აქვს.

სტენდი მოგვითხრობს აგრეთვე კოლმეურნეობის წარმატებებზე ტუნგოს მოყვანაში. მისმა წევრებმა უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა გასწიეს ამ ძვირფასი კულტურის მოსავლიანობის ამაღლებისათვის და თვალსაჩინო მიღწევებიც მოიპოვეს. თუ წინათ ტუნგოს მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 8,7 ცენტნერს უდრიდა, ახლა იგი უკვე 17,5 ცენტნერს აღწევს.

მუშაობის სანიმუშო ორგანიზაციამ, კოლმეურნეთა თავდადებულმა შრომამ უზრუნველყო შრომადღის ხვედრის მნიშვნელოვანი ზრდა. 1952 წელს ამ კოლმეურნეობაში შრომადღეზე ფულად 25 მანეთი და 43 კაპიკი გასცეს, ხოლო 1954 წელს—33 მანეთი და 30 კაპიკი. მარცვლეული შრომადღეზე გაცემულია 1952 წელს 2,3 კილოგრამის, ხოლო 1954 წელს 4 კილოგრამის რაოდენობით.

სტენდზე წარმოდგენილია ბევრი ნატურალური ექსპონატი. მათ შორის არის თამბაქოს გამხმარი ფოთოლი, ტუნგოს ნაყოფი, აბრეშუმის პარკი და სხვ.

მოსკოვი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.).

სათავეში ჩავუდგეთ მასების შრომითს აქტივობას

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა და ამ პლენუმზე ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენებამ ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა მუშაკებში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხში, მხურვალე მოწონება და ახალ საწარმოო წარმატებათა მოპოვებისათვის დაუღალავი ბრძოლის ენთუზიაზმი გამოიწვია. მრეწველობის ყველა დარგის და ყველა პროფესიის წარმომადგენლები ხალისით ჩაებნენ პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის, სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად ახალი, სასახელო საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ბრძოლაში.

— ბარიტის მაღაროების მექვენის სამთო რაიონის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, — წერს რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში საქნავთბარიტის მექვენის სამთო რაიონის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. გ. კახიძე, — დაუღალავად განაგრძობენ ახალი რეზერვების ძიებას, ბარიტის ხარისხის გაუმჯობესების საშუალებათა გამოყენებას. ჩვენმა ინჟინრებმა ერთ-ერთ რაიონში შიაგნეს ბარიტის დიდ ფენს, რომელიც შეიცავს უმაღლესი ხარისხის ბარიტს. გამონახულია აგრეთვე სხვა ფენიც. ყოველივე ეს ბარიტის მომპოვებლებს საშუალებას გვაძლევს საშობლოს მივცეთ მეტი ბარიტი.

დიდი წვლილი შეაქვთ თავიანთი საწარმოს მუშაობის გაუმჯობესებაში, საწარმოო პროცესების რაციონალიზაციაში ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის ნოვატორებს და რაციონალიზატორებს. ამ ქარხნის საგეგმო განყოფილების უფროსი ამხ. ბ. პოლიაკი თავის კორესპონდენციაში იუწყება, რომ მეხუთე ხუთწლედის დასაწყისიდან ქარხანაში დაინერგა ადგილობრივ მომუშავე რაციონალიზატორთა მიერ შემოტანილი 345 რაციონალიზატორული წინადადება, რამაც საწარმოს უკვე მისცა 2,5 მილიონი მანეთი ეკონომია.

— ქარხანაში მომუშავე რაციონალიზატორები, — წერს ამხ. ბ. პოლიაკი, — დიდი ხალისით მუშაობენ ახალ გაუმჯობესებათა შემუშავებაზე, რათა ამით კოლექტივს გაუადვილონ გადიდებულ საწარმოო ვალდებულებათა შესრულება. ამ საქმეში პირველი წარმატებები უკვე მოიპოვეს ოსტატმა რაციონალიზატორმა ი. ფილიპსკიმ და მჭედელმა დ. ანსაშვილმა.

კურსების გრანიტმა, როგორც საუკეთესო მოსაპირკეთებელმა მასალამ, დიდი პოპულარობა მოიპოვა მშენებლებს შორის. გრანიტის ქვის მოპოვება მინდობილი აქვს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოს — „საქტეშენიტს“, რომლის დირექტორი ამხ. მ. ალფაიძე რედაქციას სწერს:

— კურსების გრანიტის საწარმოთა მუშებს მთელ რიგ შრომატევად სამუშაოთა შესრულება ჯერ ისევ ხელით უხდებათ. წარმოება ახლა ამზადებს უხეშად გამოკვეთილ ლოდებს, რომლებიც მშენებლობებზე იგზავნება და ადგილობრივ მუშავდება. თუ ჩვენ მოვაწყობთ საწარმოში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, ეს გაგვთავისუფლებს მუშახელს და ლოდების შემდგომი დამუშავება ადგილზევე გახდება შესაძლებელი. ეს კი გამოიწვევს პროდუქციის გაიაფებას, თან რკინიგზას გაათავისუფლებს ზედმეტი ვაგონების მოცდენისაგან. მაგალითად, ახლა 100 კუბმეტრი ლოდების გადასაზიდავად საჭიროა რკინიგზის 20 ვაგონი. თუ ლოდების გათლას და მოცემული ზომების მიხედვით გამოკოპიტებას ადგილობრივ მოვაწყობთ, მაშინ ამდენივე გრანიტის ბლოკების გადასატანად საჭირო იქნება მხოლოდ 5 ვაგონი. ამიტომ აუცილებლად საჭიროა მოკლე დროში შევუდგეთ კურსების გრანიტის საწარმოში კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებათა განხორციელებისათვის მრეწველობის მუშაკების მხარდამხარ იბრძვიან საბჭოთა რკინიგზელები — მეორთქლმავლელები, მეელმავლელები, მელიანდაგეები. პარტიის XX ყრილობისათვის უკეთესი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად ბორჯომელ ამხანაგებთან შეჯიბრებაში ჩაბმული არიან გურჯაანელი მელიანდაგეები, რომელთა შრომითი თავდადების შესახებ ჩვენი გაზეთის მკითხველი ამხ. თ. პავლიაშვილი გვწერს:

— გურჯაანელი მელიანდაგეები არასოდეს ისე ერთსულოვნად არ გამოსულან შრომითს ვახტზე, როგორც ახლა. სალიანდაგო დისტანციის მთელი კოლექტივი ერთი სულისკვეთებით, ერთი გადაწყვეტილებით იბრძვის ბორჯომელ მელიანდაგეებთან შეჯიბრებაში გასამარჯვებლად — უზრუნველყონ მატარებელთა გაძლიერებული მოძრაობა ლიანდაგის საუკეთესო ტექნიკური მდგომარეობით და ამით ხელი შეუწყონ საჭალხოსამეურნეო ტვირთზიდვის გეგმების გადაჭარბებით შესრულებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიანდაგის შემომვლელის ი. პაპოშვილის, მჭედელ დ. კურკაციშვილის, კალატოზ ზ. ბატიაშვილის, ზეინკალ ს. ბალაევის კარგი მუშაობა. დისტანციის კოლექტივი იბრძვის წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელების, ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მოწინავეთა გამოცდილების გავრცელების, სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის მნიშვნელობას. ამ საკითხებზე გაამახვილა თავისი ყურადღება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან ჩატარებულმა პლენუმმაც. თუ რა მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრების კარგად მოწყობას, მასობრიობას და შეჯიბრებისადმი ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მოქნილ ხელმძღვანელობას, ეს ჩანს ზუგდიდის რაიონის სამრეწველო კომბინატის პარტბიუროს მდივნის ამხ. მ. შეროზიას კორესპონდენციიდან.

— ზუგდიდის რაიონის სამრეწველო კომბინატის საწარმოები — ლიმონათის ქარხანა, ელექტროწისქვილები, სატრიკოტაჟო საწარმო, სანერგე ქარხნები წელს პირველ კვარტალში ცუდად, გაუმართავად მუშაობდნენ. კომბინატის პარტიულმა ორგანიზაციამ, ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად დარაზმა საწარმოთა კოლექტივები ჩამორჩენის გამოსასწორებლად, გააჩაღა მათ შორის სოციალისტური შეჯიბრება და დააწესა მტკიცე კონტროლი, რომ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის აღებულ ვალდებულებათა შესრულებაში ხელი არავის შეშლოდა. ამასთან შეჯიბრებაში დაწინაურებულთათვის დაწესებულ იქნა წახალისება, რამაც ხელი შეუწყო შეჯიბრების გაღვივებას. ახლა ეს საწარმოები წარმატებით ასრულებენ საწარმოო გეგმებს, გეგმის გადამეტებით იძლევიან პროდუქციას.

ჩვენი გაზეთის მკითხველი ამხ. დ. ჩიტაიშვილი იწერება შრომითი თავდადების იმ შესანიშნავი მაგალითების შესახებ, რომლებსაც გვიჩვენებენ ქუთაისის მეოთხე სახელოსნო სასწავლებელში კურსდამთავრებული ახალგაზრდები — ვ. გოგიჩაიშვილი, გ. ბუაძე, ა. კბილაშვილი და სხვები, რომლებიც ახლა ქუთაისის სხვადასხვა საწარმოში მუშაობენ და საწარმოო გეგმებს 150-200 პროცენტით ანადგენენ. ეს ახალგაზრდები მოწინავე ადამიანთა რიგებში არიან და თავიანთი წვლილი შეაქვთ ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში.

იბრძვიან რა პარტიის მიერ დასახული დიდი საბრძოლო პროგრამის შესასრულებლად, ჭიათურელი მაღაროელები არ ივიწყებენ თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას — დაეხმარონ სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკებს, ღირსეული შეფობა გაუწიონ მათ.

— ჭიათურის მარგანეცის ტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, — გვწერს ამავე მაღაროს პარტბიუროს მდივანი ამხ. ბ. მახათაძე, — შეფობა აიღო სოფელ ითხვისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაზე და, როგორც შეფმა, აუშენა წისქვილი, გაუყვანა წისქვილის ასამუშაებლად საჭირო ელექტროენერგია და მოუწყო სახერხი საწარმო. ახლა შეფს ამ სოფელში წყალსადენი გაჰყავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებათა შესრულებისათვის მასების შრომითს აქტივობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ საწარმოთა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, უზრუნველყონ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებისათვის კონკრეტული, ოპერატიული ხელმძღვანელობა და მშრომელებს ყველა პირობა შეუქმნან ნაკლის ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

წალენჯიხის რაიონში

გარდამავალი დროშა გამარჯვებულებს

ამას წინათ პარტიის წალენჯიხის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა საზეიმო ვითარებაში რაიონული გარდამავალი დროშა გადასცეს სოფელ ნაკიფუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ვ. ლუკავა), რომელმაც ჩაის ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა 133,8 პროცენტით შეასრულა. კოლმეურნეობის მოწინავე მკრეფავებმა შ. ჭანიამ, ა. მოლაშხიამ, ფ. ჭანიამ, მ. ჯგერენაიამ, შ. ფილფანმა, მ. მოლაშხიამ, ქ. ლუკავამ ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა ივნისში გაანაღდეს. თვითეულმა მათგანმა 0,5 ჰექტარზე 3 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

კოლმეურნეთა დაუსწრებელი სწავლება

60-ზე მეტი კოლმეურნე ჩაბმულია სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს დაუსწრებელ სწავლებაში. ბევრი მათგანი მინდვრად მუშაობას საუკეთესოდ ათავსებს სწავლასთან. სოფელ ფახულანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი მ. გოგოხია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების მეაბრეშუმეობის ფაკულტეტის სტუდენტია. ამავე ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სუბტროპიკული ფაკულტეტის სტუდენტები არიან წალენჯიხის მტ.-ის მუშაკები ე. ფიფია, ი. სამუშია, მ. არდია, პ. გოგილავა, ნ. კვარაცხელია და სხვები.

ფართოვდება სავაჭრო ქსელი

სულ უფრო ფართოვდება სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ქსელი. მარტო წალენჯიხის რაიონულ კოოპერატივს გახსნილი აქვს 48 ობიექტი. მოსახლეობას მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიეყიდა ორ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. გაიზარდა მოთხოვნილება მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ველოსიპედებზე, აბრეშუმის და შალის ქსოვილებზე, მოდელური ფეხსაცმელზე, ავეჯზე. რაიონის ცენტრში აშენდა ფეხსაცმლის სპეციალიზებული მაღაზია. მალე დამთავრდება ახალი უნივერსალური მაღაზიის მშენებლობა. მესამე კვარტალში მაღაზიების ახალ შენობებს ააგებენ სოფლებში ლიაში, ოახულანში და ჭალეში.

იზრდება წიგნების ფონდი

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნების ფონდი 11.865 ცალით გაიზარდა. ბიბლიოთეკებმა შეიძინეს მხატვრული, პოლიტიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა. ამჟამად სასოფლო ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში 31 ათასზე მეტი წიგნია. მარტო რაიონულ ბიბლიოთეკას 10 ათასზე მეტი წიგნი აქვს. ნავარაუდევია წელს შეძენილ იქნას კიდევ 15 ათასი მანეთის ლიტერატურა. რაიონის სამკითხველოებსა და ბიბლიოთეკებს 5.600-ზე მეტი მკითხველი ჰყავთ.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ავტომანქანები კოლმეურნეობებს

ბორი. (საკ. კორ.). წელს სამმხმარებლო კოოპერაციამ რაიონის კოლმეურნეობებს სხვადასხვა მარკის 60-მდე ავტომანქანა მიჰყიდა.

ახალი ავტომანქანები შეიძინეს სოფლების ნიკოზის, ტირძნისის, დიცის, შინდისის, ყელჩეიულის, ქვეშის, ზერტის, ფლავის და სხვა კოლმეურნეობებმა.

უკრაინიდან დაბრუნდა ბათუმელი კოლმეურნეთა დელეგაცია

ამ დღეებში დიზელელექტრომავალ „როსიით“ უკრაინიდან დაბრუნდა ბათუმის რაიონის მშრომელთა დელეგაცია, რომელიც ბელოზერსკში იყო სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის შესამოწმებლად.

დელეგაციამ უკრაინაში შვიდ დღეს დაჰყო. დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ს. ესაძემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— არ დამავიწყდება უკრაინაში გატარებული დღეები, განსაკუთრებით ის გულთბილი მიღება, რომელიც გაგვიმართეს ყველგან, სადაც კი სტუმრად ვიყავით.

პირველად ვეწვიეთ ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობას, რომლის ინიციატივით ამ სამი წლის წინათ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მომძღვრესპუბლიკების ორ კოლმეურნეობას — ბელოზერსკის რაიონის ბუდიონის სახელობის და ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელებს შორის. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო კოლმეურნეობაში კარგად განვითარებულმა მეცხოველეობამ. ბელოზერსკელმა მეცხოველეებმა უკვე შეასრულეს წველადობის წლიური გეგმა.

ბელოზერსკში წელს ხორბლის უხვი მოსავალი მოიყვანეს. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 23 ცენტნერი. რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა — სამშობლოს ჩააბარა 120 ათასი ტონა ზეგეგმითი ხორბალი.

ჩვენი დელეგაციის გამომგზავრების წინ გაიმართა ბელოზერსკის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომელზეც ნახევარი წლის სამეურნეო მუშაობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. პახომოვმა.

თათბირის მონაწილეებს სიმინდის ორი მოსავლის მოყვანის გამოცდილება გააცნო ბათუმის რაიონის დელეგაციის წევრმა აგრონომმა-მცდელმა ა. ჯორბენაძემ.

ბათუმის რაიონის დელეგაციის წევრებმა უკრაინელ კოლმეურნეებს გაუზიარეს ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის თავიანთი გამოცდილება.

მლეთელ კოლმეურნეთა წარმატება

დუშეთი. (საკ. კორ.). კავკასიონის მაღალ მთებში, კაიშაურის ველის მახლობლად გაშლილია სოფელ მლეთის კოლმეურნეობის საზაფხულო საძოვრები. აქედან თითქმის ყოველდღე იგზავნება სოფელში ცხენების ქარავანი, რომელიც გემრიელი ყველით და ოქროსფერი ერბოთია დატვირთული.

ძროხების საუკეთესო მოვლა-პატრონობის შედეგად სამეურნეო წლის 10 თვეში მლეთელმა მწველავებმა თვითეულ საფურაჟე ძროხაზე ათას ლიტრზე მეტი რძე მიიღეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 ლიტრისა. ეს მნიშვნელოვნად აღემატება დაღესტნის ასსრ გუნიბის რაიონის მეცხოველეებთან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას.

მთელ რაიონში გაითქვა სახელი მწველავმა ნინო სეთურიძემ, რომელმაც მოსავლელად მიჩენილი 10 ძროხისაგან გამოზარდა ამდენივე ხბო და თვითეულ ძროხაზე მიიღო 2.267 ლიტრი რძე. სერიოზული წარმატება მოიპოვეს აგრეთვე ამავე კოლმეურნეობის მწველავმა მაშო სეთურიძემ, თამარ ქუმსიშვილმა და სხვებმა.

კოლმეურნეობაში დიდ ყურადღებას აქცევენ კეთილმოწყობილი ბინებით პირუტყვის უზრუნველყოფას. ამჟამად აქ აშენებენ მექანიზებულ ფერმას 100 ძროხისათვის. მიმდინარეობს სასილოსე ორმოების მშენებლობა და თივის დამზადება. უკვე დამზადებულია 14.900 ცენტნერი უხეში საკვები.

ძროხების წველადობის მიმდინარე წლის გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე დუშეთის მარქსის სახელობის, ქვეშეთის, შარახევის, ხომის, დავათის, ლაფანანთკარის, მაღაროსკარის, არანისის, მაჭართის, ახატნის, ხორხის, მჭადიჯვარის კოლმეურნეობებმა.

წველადობის წლიური გეგმა შეასრულეს

თეთრი წყაროს. (საკ. კორ.). ახალსოფლის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა შეასრულა წველადობის წლიური დავალება. 1 აგვისტოსათვის აქ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 1.103 ლიტრი რძე, გეგმა კი 1.100 ლიტრს ითვალისწინებდა. ახალსოფლელ მეცხოველეებს გადაწყვეტილი აქვთ სამეურნეო წლის ბოლომდე თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღონ 1.500-1.600 ლიტრი რძე.

ახალსოფლის კოლმეურნეობის ფერმაში (გამგე ვ. ქავთარაძე) ძირითადად ადგილობრივი ჯიშის ძროხები ჰყავთ. ფერმის მუშაკები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მაღალი მაჩვენებლები მოიპოვონ. მოწინავე მწველავთ. წიკლაური თავის ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებს გამოჩენილ მეცხოველეთა გამოცდილებას, იცავს ზოოტექნიკურ წესებს, საუკეთესოდ უვლის პირუტყვს. შედეგიც კარგია. მიმაგრებულ 12 ძროხაზე მან 13 ხბო გამოზარდა. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე სამეურნეო წლის ათ თვეში 1.200 ლიტრი რძე მიიღო. იგი იბრძვის იმისათვის, რომ წლის ბოლომდე თვითეულ ძროხაზე მიიღოს 1.600 ლიტრი რძე. ასეთსავე წარმატებას მიაღწია მწველავმა ლ. კობაიძემ.

კომუნისტთა დამოუკიდებლად სწავლება

გასულ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. პოლიტიკურ სწავლებაში ნებაყოფლობის პრინციპის განხორციელებამ გამოიწვია იმ კომუნისტთა რიცხვის თითქმის სამჯერ გაზრდა, რომლებსაც დამოუკიდებლად უნდა ემუშავნათ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესასწავლად.

სასწავლო წლის შედეგები მეტყველებენ, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ერთი ნაწილი მოუმზადებელი შეხვდა ამ ცვლილებებს. სასწავლო წლის პირველ პერიოდში თბილისში, ტყიბულში და ზოგიერთ სხვა ქალაქსა და რაიონში დამოუკიდებლად შემსწავლელებთან თითქმის არავითარი მუშაობა არ წარმოებდა. ამის შედეგად პოლიტიკური სწავლების ეს უმნიშვნელოვანესი უბანი ყველაზე ჩამორჩენილი აღმოჩნდა.

1954-1955 სასწავლო წელს ადგილი ჰქონდა წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის, როგორც პოლიტიკური სწავლების ფორმის, შეუფასებლობას. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდი კადრებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლების ძირითადი მეთოდია.

ბარშან პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებისას განუხრელად ხორციელდებოდა ნებაყოფლობის პრინციპი. მიუხედავად ამისა, უკვე მაშინ იგრძნობოდა ერთგვარი უნდობლობა თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტებისადმი. ზოგჯერ პარტიული ორგანიზაციები ნებაყოფლობის პრინციპის განხორციელებას დროებით მოვლენად თვლიდნენ, ნაკლებად ფიქრობდნენ დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებისადმი დახმარების ფორმების გამონახვასა და შემუშავებაზე, მაშინ როცა თითქმის ყველა თათბირზე, კრებაზე, სხდომაზე განუწყვეტლივ იყო მსჯელობა კონტროლის ფორმების შესახებ.

როგორც საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში ამას წინათ ჩატარებულმა თათბირმა გვიჩვენა, კომუნისტთა დამოუკიდებლად სწავლების ფორმის შეუფასებლობა მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი (ზესტაფონის, გურჯაანის რაიონები).

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ წრეებსა და პოლიტსკოლებში კომუნისტების მექანიკური ჩაბმით პარტიული ორგანიზაციების ერთმა ნაწილმა გაიაიდვილა პროპაგანდისტული მუშაობისადმი ხელმძღვანელობის საქმე, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. ის, ვინც ამჟამად კომუნისტებს წრეებისაკენ ეწევა, ვისაც კომუნისტთა დამოუკიდებლად სწავლებაში არსებული ხარვეზების მიზეზად ნებაყოფლობის პრინციპის განხორციელება მიაჩნია, იგი ფაქტიურად ცდილობს თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, შეასუსტოს პროპაგანდისტული მუშაობისადმი ხელმძღვანელობა.

აუცილებელია კომუნისტთა პოლიტიკურ სწავლებაში ნებაყოფლობის პრინციპის არა მხოლოდ ფორმალური აღიარება, როგორც ეს ხშირად ხდება, არამედ ამ პრინციპის გაგება და მისი პრაქტიკულად განხორციელება.

წელს პარტიულმა კომიტეტებმა საბოლოოდ უნდა აღმოფხვრან ნებაყოფლობის პრინციპის დარღვევის მავნე პრაქტიკა. საჭიროა გულდასმით, დაწვრილებით გამოვესაუბროთ თვითეულ კომუნისტს, გავითვალისწინოთ მათი მისწრაფება, მომზადების დონე, წიგნზე მუშაობის უნარი და მათთან ერთად გადავწყვიტოთ, რა მეთოდით და რა მასალა შეისწავლოს.

* * *

გასულ სასწავლო წელს ლენინგრადის, ხაშურისა და სხვა რაიონების პარტიულმა ორგანიზაციებმა ცუდად მოაწყეს თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტებისადმი დახმარება, არ იზრუნეს კომუნისტთა დამოუკიდებლად სწავლების უფრო მოხერხებული ფორმების გამოძებნისა და შემუშავებისათვის.

ასეთი რამ აღარ უნდა გამეორდეს. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების აქვს აგრეთვე თეორიული კონფერენციებისა და გასაუბრების მოწყობას.

თეორიული კონფერენციების მოწყობა წინასწარ გულდასმით მომზადებას მოითხოვს. იმისათვის, რომ კონფერენციამ პარადული ხასიათი არ მიიღოს, აუცილებელია შეიქმნას საქმიანი, შემოქმედებითი ატმოსფერო. კომუნისტები წინასწარ ღრმად უნდა გაეცნონ სათანადო მასალებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საკითხების ყოველმხრივ განხილვაში. საჭიროა მოვეთათბიროთ კომუნისტებს და მათთან ერთად შევარჩიოთ თეორიული კონფერენციების თემები. თემა კონკრეტული ხასიათისა უნდა იყოს. მაგალითად, „1905-1907 წ.წ. რუსეთის პირველი რევოლუცია“ ძალიან ფართო თემა იქნებოდა თეორიული კონფერენციისათვის. უმჯობესია ამ თემიდან გამოიყოს რამდენიმე საკითხი და თვითეულ მათგანზე ცალცალკე მოეწყოს თეორიული კონფერენცია. ასეთ საკითხებად შეიძლებოდა გამოგვეყო, მაგალითად, „პროლეტარიატი — რუსეთის პირველი რევოლუციის ჰეგემონი“, „ბოლშევიკების ბრძოლა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცებისათვის რუსეთის პირველ რევოლუციაში“, „გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“ და სხვ.

ბევრი იწერება პარტიული კომიტეტების ბიბლიოთეკების მოვალეობისა და როლის შესახებ. ეს ბუნებრივიც არის, რადგან პარტიული ბიბლიოთეკა საკონსულტაციო და ბიბლიოგრაფიულ-საცნობარო მუშაობის ცენტრი უნდა იყოს. აქ უნდა ეწყობოდეს ახალი წიგნების გამოფენა, მზადდებოდეს ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები. მაგრამ პარტიულმა ბიბლიოთეკამ თავისი მოვალეობა რომ შეასრულოს, აუცილებელია სრულ წესრიგზე იქნას მოყვანილი წიგნის ფონდი. იქ, სადაც ეს არ არის, საჭიროა შეავადგინოთ კატალოგები.

დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტებისადმი დახმარების კიდევ სხვა მრავალი ფორმა არსებობს. პარტიული ორგანიზაციების ვალია გამოავლინონ და პრაქტიკაში შეამოწმონ თვითგანათლებაზე მომუშავე კომუნისტებისათვის დახმარების ცნობილი ან ახალი ფორმები.

* * *

პოლიტიკურ სწავლებაში ნებაყოფლობის პრინციპი გულისხმობს სწავლების ფორმისა და შესასწავლი მასალის კომუნისტის მიერ თავისი სურვილის, შესაძლებლობის მიხედვით არჩევას და არა იმას, უნდა ისწავლოს კომუნისტმა საერთოდ თუ არა. ლენინურ-ბუთის, ახალციხისა და სხვა რაიონების მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებს სხსწავლო წლის ბოლომდე გაჰყვათ მცდარი თვალსაზრისი — თითქოს პარტიულ ორგანიზაციას უფლება არა აქვს შეამოწმოს კომუნისტთა დამოუკიდებლად სწავლება ან კრებაზე იმსჯელოს ამის შესახებ. პარტიული განათლების საქმისაგან ასეთმა თვითჩამოცილებამ გამოიწვია კონტროლის შესუსტება, თვითდინებაზე მიუშვა კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების ეს უმნიშვნელოვანესი უბანი.

ყველაზე მეტ მსჯელობას კონტროლის ფორმები იწვევს. ამჟამად ამ საკითხში არ უნდა იყოს რაიმე გაუგებრობა. კომუნისტის შრომითი საქმიანობა, მისი მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში პარტიული კონტროლის საუკეთესო ფორმაა და ყველაზე ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ როგორ ზრუნავს იგი თავისი შეგნებულობის ამაღლებისათვის. შეიძლება გამოვესაუბროთ კიდეც კომუნისტს მიმდინარე პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, მის მიერ შესასწავლად აღებულ მასალაზე. ასეთი გასაუბრების მიზანი უნდა იყოს იმის დადგენა, თუ რა დახმარებას საჭიროებს კომუნისტი, რა საკითხებზეა მისთვის აუცილებელი კვალიფიციური კონსულტაციის გაწევა. გარკვეულ შემთხვევაში პარტიული განათლების, ცალკეული კომუნისტების პოლიტიკური სწავლებისადმი დამოკიდებულების საკითხები პარტიული ბიუროს, კრების მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

მეტად მრავალფეროვანია მასალა, რომელიც შეიძლება შესასწავლად აიღოს კომუნისტმა. მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაშრომები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის „მოკლე კურსი“, პოლიტსკოლის და პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოები, ცალკეული თეორიული პრობლემები, ჩვენი პარტიის სამინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები — ყოველივე ეს კომუნისტისათვის ცოდნის შეძენის ფართო ჰორიზონტს შლის.

შეიძლება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტმა შეადგინოს ინდივიდუალური სამუშაო გეგმა. გეგმიანობა საქმეს ზიანს არ მოუტანს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში საჭირო არ არის გეგმის მეორე პირი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ან კონსულტანტს ჰქონდეს ჩაბარებული, ინდივიდუალური სამუშაო გეგმის შედგენის მიზანი ის არის, რომ იგი დაეხმაროს კომუნისტს სწავლაში. ამიტომ თვით კომუნისტმა უნდა განსაზღვროს, საჭიროებს თუ არა იგი ასეთ დახმარებას.

* * *

კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი უდიდეს ინტერესს იჩენენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მასალებისადმი. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან მოაწყონ ამ ისტორიული დოკუმენტების ყოველმხრივი შესწავლა. პროპაგანდისტები განუწყვეტლივ უნდა იმყოფებოდნენ საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, საამქროებსა და ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებში და მშენებლობებზე, მშრომელთა ფართო მასებთან, რომლებიც პატრიოტული თავდადებით მუშაობენ ჩვენი პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. მხოლოდ ასეთი, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული პროპაგანდისტული მუშაობაა ქმედითი და შედეგიანი.

გ. ღამგაშიძე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების პარტიული პროპაგანდის სექტორის გამგე.

წერილები რედაქციას

ტექნიკის მაღალნაყოფიერი გამოყენებით

წითლის მტს-ის მოწინავე კომბაინერის გ. დოლიძის თაოსნობას მხურვალედ გამოეხმაურნენ ასურეთელი მექანიზატორები. ისინი ერთსულოვნად ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის და ნაყოფიერად იმუშავეს.

აგრეგატის მაღალნაყოფიერ მუშაობაში ყველაზე კარგ შედეგს მიაღწია ასურეთის მტს-ის კომბაინერმა ა. მიკირტუმაშვილმა. 10 სამუშაო დღეში მან მოსავალი 225 ჰექტარზე აიღო და 394 ტონა მარცვალი გალეწა. ასეთი მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის კომბაინერ ა. მიკირტუმაშვილის აგრეგატს მეორედ გადაეცა მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა და მიეკუთვნა ფულადი პრემია.

ა. მიკირტუმაშვილი 20 წელია კომბაინზე მუშაობს. ამ ხნის განმავლობაში საუკეთესოდ დაოსტატდა და მდიდარი გამოცდილება შეიძინა. მისი წარმატების საფუძველი პირველ რიგში ის არის, რომ კომბაინი მუდამ სრულ წესრიგზე და სანიმუშოდ მოვლილი აქვს. ა. მიკირტუმაშვილის აგრეგატის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მისი კოლექტივის შეთანხმებული მუშაობა. სახელოვანმა კომბაინერმა გამოზარდა და მუშაობაში გაწვრთნა თავისი აგრეგატის მეშტურვალერ. ალაჯანოვი. აგრეგატზე ტრაქტორისტად მუშაობს გამრჯე და დაუზარელი ა. ბაღდასაროვი. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ ამრავლონ წარმატებანი ტექნიკის უკეთ გამოყენების საქმეში.

ძ. წულუკიძე,
ასურეთის მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანი.



 კურორტი ბაგრა. სანატორიუმი „რიწა“.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ნარაზნელი კოლმეურნეები მოითხოვენ

სოფელ ნარაზნის (ზუგდიდის რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ თავის დროზე საქართველოს სოფლენერგოს ცხაკაიას განყოფილებასთან (განყოფილების დირექტორი ზ. სანაია) დადო ხელშეკრულება კოლმეურნეობაში ელექტროენერგიის გაყვანის შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით სოფლენერგოს ყველა სამუშაო 1954 წლის მაისისთვის უნდა დაემთავრებინა, მაგრამ გავიდა მაისი, დამთავრდა 1954 წელი, მოვიდა 1955 წლის მაისიც, უკვე ეს წელიც იწურება, ნარაზენში კი ელექტროდენი არ არის.

ნარაზნელი კოლმეურნეები მოითხოვენ ბოლო მოეღოს საქსოფლენერგოს ცხაკაიას რაიონული განყოფილების მუშაკთა ასეთ უპასუხისმგებლობას, სახელშეკრულებო ვალდებულებათა უგულებელყოფას.

მ. პაჭკორია,
სახოფლო საბჭოს დეპუტატი,

ბ. ბიგვავა,
ნარაზნის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი.

ეღელეგროქვესადგურის აგებას აგვიანებენ

ფაშიანში თეძამის ტუფის ქარხანასთან საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს უნდა აეშენებინა ელექტროქვესადგური, რომელიც დენს მიაწვდიდა კავთისხევს და ახლომახლო კოლმეურნეობებს. ქვესადგურისათვის გადამცემი ხაზის გაყვანაში კოლმეურნეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს, მაგრამ ელექტროენერგია ვერ მიიღეს, ვინაიდან სამინისტრო აჭიანურებს ქვესადგურის მშენებლობას.

საჭიროა ამ ქვესადგურის მშენებლობის დაჩქარება და მისი ამუშავება. ამას მოითხოვენ კავთისხეველი კოლმეურნეები.

მ. ბეგლარაშვილი,
კახეთის რაიონის სოფელ კავთისხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„კულტურის საკითხები საქალაქო გაზეთში“

„კომუნისტში“ ამ სათაურით გამოქვეყნებულ მიმოხილვაში აღნიშნული იყო, რომ გაზეთი „მგზნებარე კოლხიდელი“ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად აშუქებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტი გვაცნობებს რომ მიმოხილვაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახულია საჭირო ღონისძიებანი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოსული იყო წერილი, რომელშიც ამხილებდნენ წითელწყაროს სინკუბატორო სადგურის დირექტორის ბოროტმოქმედებას. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა წითელწყაროს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. აღმასკომი გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. წითელწყაროს მეფრინველეობის სინკუბატორო სადგურის დირექტორი ა. ბეგიაშვილი მოხსნილია სამსახურიდან. მას დაეკისრა მითვისებული თანხის ანაზღაურება.

ზრუნვა მედიცინის მუშაკთა დასვენებისათვის

მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი ენერგიულად ზრუნავს მედიცინის მუშაკთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. დღემდე ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში უკვე დაისვენა მედიცინის 36 მუშაკმა ქალაქ ქუთაისიდან.

წლის ბოლომდე სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გაემგზავრება კიდევ 86 მუშაკი.

ახალი საბჭოთა მეურნეობანი

ბორჯომის ჯგუფის კურორტებისა და კურორტ აბასთუმნის მომსახურების მიზნით ახალციხისა და ადიგენის რაიონების ტერიტორიაზე შეიქმნა მეცხოველეობისა და მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა.

მეურნეობას ეყოლება 100 სული მეწველი ძროხა, 150 ფუტკრის ოჯახი, გამოყოფილი აქვს 500 ჰექტარი მიწის ფართობი, აქედან 300 ჰექტარზე დათესება საკვები კულტურები, 70 ჰექტარს დაიკავებს ბოსტნეული, ხოლო ხუთი ათას კვადრატულ მეტრზე მოეწყობა სათბურები. ამ საბჭოთა მეურნეობას გადაეცა ბენარის ხეხილის ბაღი 17 ჰექტარი ფართობით.

* * *

აბაშის რაიონში კოლხიდმშენის მიერ დაშრობილ აუთვისებელ მიწაზე 1.300 ჰექტარი ფართობი გამოეყო მეღორეობის ახალ საბჭოთა მეურნეობას.

ამ ნაკვეთზე ძირითადად დაითესება სიმინდი და სხვა საკვები კულტურები, რომლებიც მთლიანად უზრუნველყოფს საბჭოთა მეურნეობის მოთხოვნილებებს.

მეურნეობას ეყოლება 300 დედაღორი, გარდა ამისა ძროხა და ფრინველი, რისთვისაც აიგება საძროხე და დიდი საფრინველე. მეურნეობასთან გაკეთდება წყლის ხელოვნური საგუბარი წყალცურავი ფრინველისათვის.

საბჭოთა მეურნეობის მომსახურე პერსონალისათვის აშენდება საცხოვრებელი სახლები, კლუბი, საბავშვო დაწესებულებანი, საექიმო პუნქტი, სასადილო, სარემონტო სახელოსნოები და სხვა საჭირო სამეურნეო ნაგებობანი, გაყვანილ იქნება წყალსადენი, ელექტროდენი.

მშენებლობაში ფართოდ იქნება გამოყენებული ცალკეულ ნაგებობათა ტიპური პროექტები. გათვალისწინებულია აგრეთვე კოლხიდმშენის მიერ განხორციელებული სარწყავი სისტემის გამოყენება.

კინო

„აჩრდილები მწვერვალებს ტოვებენ“

ერევნის კინოსტუდიამ ეკრანზე გამოუშვა ახალი ფერადი მხატვრული ფილმი „აჩრდილები მწვერვალებს ტოვებენ“. სურათი მოგვითხრობს საბჭოთა ადამიანების სიმტკიცესა და მამაცობაზე, მათს შეუპოვარ მისწრაფებაზე დასახული მიზნის მისაღწევად.

ფილმში ნაჩვენებია კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი ახალგაზრდობის სულიერი სიდიადე, მისი უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი.

სურათი საინტერესოა თავისი იდეური ხანგაფიქრით და თავისებურად ხსნის სიფხიზლის თემას. რეჟისორების მიერ ნაპოვნი კინემატოგრაფიული დეტალები მშვენივრად უპასუხებენ სათავგადასავლო ჟანრის მოთხოვნებს.

...ცაში აწვდილა მიუვალი კარმირ-სარის ყინულოვანი მწვერვალი. ხალხში გავრცელებული გადმოცემის მიხედვით მრავალ სიმდიდრეს ინახავს საიდუმლოდ ეს პირქუში მთა, მაგრამ ბოროტი აჩრდილები იცავენ მას და არაერთი მამაცი ახალგაზრდა დაიღუპა წამებით მათი საშინელი სუნთქვისაგან.

საუკუნეთა მანძილზე ამოუცნობი რჩებოდა კარმირ-სარის საიდუმლოება. საბჭოთა პატრიოტების ჯგუფმა ახალგაზრდა მეცნიერ-გეოლოგის არტაშეს მალიანის მეთაურობით გადაწყვიტა იერიში მიიტანა კარმირ-სარის მიუვალ მწვერვალებზე. მალიანი მოსკოვიდან დაბრუნდა შმობლიურ ზანგეზურში. თავისი სადისერტაციო თემა მან კარმირ-სარის სიმდიდრეთა შესწავლას მიუძღვნა. ახალგაზრდა მეცნიერმა წამოაყენა გაბედული იდეა, რომ არის ყველა პირობა კარმირ-სარის მწვერვალზე ძვირფასი ლითონების არსებობისათვის. არტაშეს მალიანმა ადგილობრივ გეოლოგიურ ინსტიტუტში დააყენა საკითხი საძიებო ექსპედიციის მოწყობის შესახებ. მის ინიციატივას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ინსტიტუტის ცნობილმა პროფესორმა დანიელ-ბეკმა, მისი თეორიით მთის მწვერვალზე მადნეული არ არის.

დანიელ-ბეკმა ვერ შეძლო ჩაეშალა ექსპედიცია. ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს სატუნცისა და სხვა პროფესორების დახმარებით ახალგაზრდა მეცნიერ-გეოლოგებისა და ალპინისტების ჯგუფი გაემართა კარმირ-სარის მწვერვალებზე იერიშის მისატანად.

სხვა ახალგაზრდებთან ერთად ექსპედიციაში მონაწილეობს ინსტიტუტის დირექტორის ქალიშვილი გაიანე სატუნცი, ამიტომ შეუერთდა ექსპედიციას დანიელ-ბეკის ასპირანტი ბაგრატი, რომელიც მხოლოდ პირად დიდებასა და სახელზე ოცნებობს.

გზაზეში დაბეჭდილმა მოკლე ცნობამ კარმირ-სარის ექსპედიციის შესახებ შეშფოთება გამოიწვია საზღვარგარეთ. ცნობამ განსაკუთრებით შეაშფოთა ერთ-ერთი ქიმიური კონცერნის მეთაური ალვარეც და კარტეცი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე მოგზაურობდა სომხეთში. აქ ის შეხვდა სანკტ-პეტერბურგის სამთო აკადემიის სტუდენტს შელაგინს, რომელიც კავკასიაში იყო გადმოსახლებული. 1912 წელს ალვარეც და კარტეცმა შელაგინთან და ახალგაზრდა გეოლოგ დანიელ-ბეკთან ერთად მოაწყო ასვლა კარმირ-სარის მწვერვალზე.

ზღაპრული სიმდიდრე გადაიშალა მათ თვალწინ. ფილმის კადრები აღადგენენ წარსულის სურათებს.

ხარბმა და ვერაგმა ალვარეც და კარტეცმა იმისათვის, რომ საიდუმლოდ დარჩენილიყო აღმოჩენილი სიმდიდრე, უფსკრულში გადაჩეხა შელაგინი. მუქარით შეშინებული დანიელ-ბეკი დუმდა ამ საშინელი ბოროტმოქმედების შესახებ.

ახლა, როდესაც ალვარეც და კარტეცამდე მიაღწია ცნობამ კარმირ-სარის მწვერვალზე ექსპედიციის მოწყობის შესახებ, მან დაუყოვნებლივ მიიღო ზომები მის ჩასაშლელად. ამოძრავდნენ ბნელეთის მოციქულებ, ჯამუშები, დივერსანტები.

ფილმში მკვეთრად არის ნაჩვენები უცხოელი კაპიტალისტების ველური ბუნება. სისხლით, ადამიანთა სიცოცხლის მოსპობით, საზარელ ბოროტმოქმედებათა გზით იღებენ ისინი მოგებას.

კარმირ-სარის ექსპედიციას ალპინიზმის ინსტრუქტორის სახელით მიეტმასნა დივერსანტი. მაგრამ საბჭოთა დაზვერვას არ გამოჰპარვია ეს ამბავი.

მაყურებელი დაძაბული ადევნებს თვალს სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა თანამშრომლების მუშაობას შემოპარული მტრის აღმოსაჩენად და გასანადგურებლად.

ეკრანზე მოჩანს ჩვენი სამშობლოს გული მოსკოვი თავისი წარმტაცი არქიტექტურული ნაგებობებით. შესანიშნავი კადრები გვიჩვენებენ საჯარო ბიბლიოთეკას, უნივერსიტეტს, მეტროს, დედაქალაქის ლამაზ ქუჩებს. ამ გრანდიოზულ სანახაობათა ფონზე გაისმის პოლკოვნიკის სიტყვები დივერსანტის შემოპარვის შესახებ. დავალება ეძლევა საბჭოთა დაზვერვის მუშაკს — მოსპოს ვერაგი მტერი.

ბუნება იერიშს კარმირ-სარის დასაპყრობად. უაღრესად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში წინ მიიწევენ ექსპედიციის წევრები.

კადრები გვიჩვენებენ მათს შეუპოვარ ჭიდილს ბუნების სტიქიასთან. წინ სალი კლდეების ციცაბო კედელია. მაგრამ ახალგაზრდები შეუპოვრად მიიწევენ სულ მაღლა და მაღლა.

...მალიანის ჯგუფი იმარჯვებს სტიქიასთან ბრძოლაში. ზვიადი და მრისხანე კარმირ-სარი უკვე მათ ფეხქვეშ არის.

კადრი ფილმიდან „აჩრდილები მწვერვალებს ტოვებენ“.

რაზმის თვალწინ ფანტასტიკური სურათი იშლება. მთის მწვერვალზე ღრუბლები ორევიან და მრავალფერად განათებული განუწყვეტლივ იცვლიან მოყვანილობას. ისინი მოგვაგონებენ იმ აჩრდილებს, რომლებიც ხალხის გადმოცემით იცავენ მიუვალ მწვერვალებს. გაბაათლდა ახალგაზრდა მეცნიერის მალიანის აზრი. მბრწყინავი ღრუბლები მთის მწვერვალზე — ეს ბუნებრივი ვერცხლისწყლის შხამიანი ორთქლია. ეს იყო მიზეზი ხალხში გავრცელებული თქმულებისა ბოროტი აჩრდილების შესახებ.

ცტერი ცდილობს მახვილი ჩასცეს გამარჯვებულ პატრიოტებს, მაგრამ საბჭოთა დაზვერვის ფუშაკი, რომელიც საიდუმლოდ მონაწილეობდა ექსპედიციაში, მოჰკვეთს მას სისხლიან ხელს. დივერსანტმა კარმირ-სარის უფსკრულში ჰპოვა სიკვდილი.

კლდეზე ამოკვეთილი წარწერით დასტურდება, რომ მთაზე პირველი ასვლის მონაწილე იყო დანიელ-ბეკი. გამომძღვნებული პროფესორი თავს იკლავს.

ფილმი „აჩრდილები მწვერვალებს ტოვებენ“ დადგმულია რეჟისორების ს. კეკორკოვისა და ე. კარაშიანის მიერ, ე. კარაშიანისა და გ. კოლტუნოვის სცენარის მიხედვით.

სურათის გადაღებაში კინოს გამოცდილ მსახიობებთან ერთად მონაწილეობდნენ დრამატული თეატრის წამყვანი არტისტები და ახალგაზრდა შემსრულებლები. რეჟისორებმა შეძლეს შეეკავშირებინ ი ისინი ერთიან შემოქმედებით კოლექტივად. კარგად ასრულებს ახალგაზრდა მეცნიერის არტაშეს მალიანის როლს თბილისის სომხური დრამატული თეატრის მსახიობი ს. სოსიანი.

მოხუცი მწყემსის ვაჟანის წარმტაც სახეს ქმნის სომხეთის სსრ სახალხო არტისტი გ. ნერსესიანი. კარგი იყო სცენრის ავტორებს მეტი ადგილი დაეთმო გმირის მოკმედებისათვის.

მაღალი ოსტატობით ასრულებს დანიელ-ბეკის როლს სცენის ოსტატთა ძველი თაობის წარმომადგენელი სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების სახალხო არტისტი ვაჰრამ ფაფაზიანი.

აზრიანი თამაშით გამოირჩევა კონოაქტიორთა თეატრ-სტუდიის მსახიობი ვ. ტიაგუშევი მზვერავ-პოტანიკოსის რთულ როლში.

კარგად ასრულებენ როლებს ა. კარაპეტიანი (ბაგრატი), დ. მალიანი (სატუნცი) და ლ. ქმიტი (ცვეტაშნიკოვი). მკრთალი და არადამაჯერებელია ა. ფაატის მიერ შექმნილი ალვარეც და კარტეცის სახე.

ფილმში ალპინისტი ქალის გაიანეს როლს ასრულებს ვ. იუტუჯიანი. მსახიობი ვერ იძლევა უშიშარი და შეუპოვარი ალპინისტი ქალის სახეს. მის თამაშში არ იგრძნობა შოვენისთა წრფელი განცდა. მსახიობი მხატვრული სიმართლით ვერ გადმოგცემს გმირის სულიერ განცდებს.

სათანადოდ არ არის დამუშავებული ლირიკული სცენები (გაიანეს და ბაგრატის სიყვარული).

ფილმში გვხვდება ისეთი კადრები, რომლებიც მხოლოდ მშვენიერ სანახაობას წარმოადგენენ და არ გამომდინარეობენ სიუჟეტის განვითარების საერთო მოთხოვნიდან. მაყურებელი სურათით ეცნობა, რომ დანიელ-ბეკს სამეცნიერო ხარისხი და დიდი მეცნიერის სახელი მოუპოვებია იმის დამტკიცებით, რომ კარმირ-სარის მთა გეოლოგიურად უნაყოფოა, მის წიაღში მადნეული არ არის.

ასეთ თემაზე დისერტაციას არ იცავენ. მით უმეტეს, რომ დანიელ-ბეკამდე არავის დაუმტკიცებია საწინააღმდეგო აზრი. ფილმის ეს ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ მისი სცენარი სათანადო მხატვრული ოსტატობით ვერ არის დამუშავებული.

სუსტია კომპოზიტორ ა. არუთინიანის მუსიკა.

საუკეთესოდ გადაღებული მრავალი კადრი ოპერატორ ი. დილდარიანის მაღალ ოსტატობაზე მეტყველებს.

ცალკეული ნაკლოვანებანი ვერ ჩრდილავენ სურათის ღირსებას. ერევნის კინოსტუდიის ახალი მხატვრული ფერადი ფილმი „აჩრდილები მწვერვალებს ტოვებენ“ მოიმატებს სომხეთის კინემატოგრაფიის მუშაკთა წარმატებებს.

ნ. შველიძე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ხუთწლედი

მთელ ჩინეთს ახლა გრანდიოზული ეკონომიური ამოცანები აღელვებს. ამ ამოცანებს დიდი ყურადღება დაუთმო სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მეორე სესიამ, რომელიც 30 ივლისს დამთავრდა. დეპუტატებმა დიდი კმაყოფილებით დაამტკიცეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების პირველი ხუთწლიანი (1953-1957 წლების) გეგმის დავალებანი. ხუთწლედის პირველი ორი წლის ამოცანების წარმატებით განხორციელებამ დამსახურებული სიამაყე გამოიწვია ჩინელ ხალხში, წარმოშვა უმაგალითო პატრიოტული აღმავლობა. ყველგან იმართება მოსახლეობის მიტინგები და კრებები, იღებენ ახალ ვალდებულებებს, ფართოვდება შრომითი შეჯიბრება ჩინეთის პირველი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

* * *

ძველი ჩინეთი ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. მრეწველობაში და ტრანსპორტზე სამ მილიონზე ნაკლები მუშა იყო დასაქმებული. მეტი წილი მსხვილი საწარმოები უცხოელ კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ. სოფლად გაბატონებული იყვნენ მემამულეები. სუსტად განვითარებული მრეწველობა და დაცემული სოფლის მეურნეობა სამუშაოთი ვერ უზრუნველყოფდნენ ათეულ მილიონობით გაღატაკებულ ადამიანს. ჩინეთს საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა სამრეწველო ნაწარმი და სურსათი ზღვისპირა ქალაქებისათვის. გომინდანელთა პარპაშის ბოლო ხანებში ჩინეთის ეკონომიკა მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მოსახლეობის მასობრივი შიმშილობის და სრული ეკონომიური ნგრევის საფრთხე თავიდან იქნა აცილებული სახალხო რევოლუციის გამარჯვებით. სახალხო ხელისუფლებამ ბოლო მოუღო იმპერიალისტთა და მემამულეთა ბატონობას, მტკიცედ გააერთიანა ქვეყნის ყველა ნაწილი ერთიან სახელმწიფოდ, მოახდინა იმპერიალისტთა და მსხვილ კაპიტალისტთა საკუთრების ნაციონალიზაცია. კ.მ.უნისტურმა პარტიამ ჩინეთის მთელი რევოლუციური ძალები დარაზმა მეურნეობის სწრაფად აღდგენის, ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების ამოცანების გარშემო.

1952 წლის დამლევისათვის ჩინეთის ეკონომიკა აღდგენილ იქნა. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ამ დროისათვის რამდენადმე მეტ პროდუქციას უშვებდნენ, ვიდრე ომამდელ საუკეთესო წლებში. გაუმჯობესდა მშრომელთა მდგომარეობა.

მაგრამ ჩინეთის შემდგომი განვითარება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებული იყო მძლავრი თანამედროვე მრეწველობის შექმნაზე, რადგან იგი წარმოადგენს სახალხო-დემოკრატიული წყობილების ეკონომიურ ბაზას და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების ერთადერთ გზას.

ჩინეთის მოწინავე ადამიანები, კომუნისტები, უკვე დიდი ხანია ამბობდნენ, რომ მრეწველობის უქონლად შეუძლებელია მასების მდგომარეობის გაუმჯობესება, შეუძლებელია ჩინეთის გადაქცევა დამოუკიდებელ, ძლიერ სახელმწიფოდ.

მაგრამ სანამ ჩინეთში იმპერიალისტები და შინაური რეაქციონერები ბატონობდნენ, ლაპარაკიც ზედმეტი იყო ინდუსტრიის შექმნაზე. ანტიხალხური ძალები ყოველნაირად აფერხებდნენ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, იტაცებდნენ ჩინეთის ეროვნულ სიმდიდრეს.

მხოლოდ სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ გაუხსნა მშრომელებს ახალი ცხოვრების გზა. ამ გამარჯვებამდე ჩინელი ხალხი კომუნისტურმა პარტიამ მიიყვანა. ჩინეთის კომუნისტებმა თართო მასებში დანერგეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები და პრაქტიკით დაამტკიცეს, რომ ხალხის ცხოვრების რეალური გაუმჯობესებისა და სახელმწიფოს აყვავების ერთადერთი გზა სოციალისტური მშენებლობის გზაა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკა გარდამავალი ეკონომიკაა, რომელიც შეიცავს როგორც წარსულის, ისე მომავლის წყობებს: წვრილსაქონლურს, კერძოკაპიტალისტურს, სოციალისტურს. ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზი ითვალისწინებს სოციალისტური წყობის განუწყვეტელ ზრდას ახალი მშენებლობისა და სახელმწიფო სექტორში წარმოების გაფართოებით, წვრილსაქონლურ (გლეხურ და კუსტარულ) მეურნეობათა კოოპერირებით.

ახალ ჩინეთს 15 წელი დასჭირდება იმისათვის, რომ შექმნას თანამედროვე მრეწველობა და გადააქციოს ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად, რომლის ეკონომიკაში სამრეწველო წარმოების წილი ღირებულების მიხედვით 1967 წელს მთელი პროდუქციის ნახევარზე მეტი იქნება. კომუნისტური პარტიის მიერ ინდუსტრიალიზაციაზე ალებული მტკიცე გეზს მხურვალედ იწონებს ერთიანი ფრონტის ყველა პარტია. ეს გეზი ხალხის მასობრივ შრომითს ენთუზიაზმს ემყარება. ამ სახალხო მხარდაჭერის მეოხებით რესპუბლიკამ უკვე მოახერხა დიდი ნაბიჯის გადადგმა დასახული მიზნისაკენ. 1954 წელს 1949 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წილი თითქმის ერთიორად გაიზარდა, მიაღწია 33 პროცენტს.

პირველი ხუთწლედის ამოცანები დიდია. საჭიროა შეიქმნას მძიმე მრეწველობის საფუძვლები, რამდენჯერმე გაფართოვდის თუჯის, ფოლადის გამოდნობა, ნაგლინის, მანქანების და ახალ საწარმოთათვის საჭირო მოწყობილობის გამოშვება. ამისათვის განზრახულია გაფართოებულ იქნას შავი მეტალურგიისა და მძიმე მანქანათმშენებლობის ძველი ქარხნები და აიგოს ახალი. უნდა განვითარდეს აგრეთვე მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც ახალია ჩინეთისათვის: სატრაქტორო, საავტომობილო, საავიაციო, ქიმიური, ორთქლმავალ და გემთმშენებელი, ბურთობსაკისარის მრეწველობა, მოტორმშენებლობა, ელექტრომოწყობილობის წარმოება და მძიმე მანქანათმშენებლობის სხვადასხვა სახეობანი.

დიდი ყურადღება ექცევა მსუბუქი მრეწველობის, ტრანსპორტის ხევრი საწარმოს, ბინების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების აგებასა და გაფართოებას.

სოფლის მეურნეობაში წარმოებს დიდი სამუშაოები სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციისათვის, შენდება საირიგაციო არხები და წყალსაცავები, ფართოვდება სახელმწიფო მეურნეობათა ქსელი და გრძელდება გლეხურ მეურნეობათა კოოპერირება.

ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 53,7 პროცენტით, ამრიგად, პროდუქციის ყოველწლიურმა მატებამ შეადგინა 26,8 პროცენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 პროცენტისა. განვითარების ასეთი მაღალი ტემპი ახის არც ერთ ქვეყანას არ ახასიათებს.

ხუთწლიან გეგმაში მთავარი ყურადღება ექცევა მძიმე მრეწველობის განვითარებას. ხუთი წლის მანძილზე, 1952-დან 1957 წლამდე, ფოლადის გამოდნობა უნდა გაიზარდოს 3-ჯერ და კიდევ მეტად (4,12 მილიონ ტონამდე), ქვანახშირის ამოღება — 1,8-ჯერ (113 მილიონ ტონამდე), ელექტროენერგიის წარმოება — 2,2-ჯერ (15,9 მილიარდ კილოვატსაათამდე), გენერატორებისა — 7,7-ჯერ, ელექტრომოტორებისა — 1,6-ჯერ, ცემენტისა — 2,1-ჯერ, საფიქრო ნაწარმისა — 1,5-ჯერ და ა. შ.

მძიმე მრეწველობა უფრო სწრაფად განვითარდება, ვიდრე მსუბუქი. ხუთწლედის განმავლობაში სამომხმარებლო საქონლის წარმოება გაიზრდება 79,7 პროცენტით, ხოლო წარმოების საშუალებათა წარმოება — 126,5 პროცენტით. მძიმე მრეწველობის წილი საერთო სამრეწველო წარმოებაში ხუთწლედის ბოლოს 39,7-დან გაიზრდება 45,4 პროცენტამდე. ხუთწლედის ბოლოს სოციალისტური სექტორი გაბატონებული იქნება ჩინეთის მრეწველობაში.

* * *

პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულება მძლავრ მატერიალურ ბაზას შექმნის ჩინეთში სოციალიზმის აშენებისათვის. ახლა ამ გეგმამ უკვე ხილული ფორმები მიიღო იმ ქარხნებისა და შახტების სახით, რომლებიც შენდება ქვეყნის ყველა ნაწილში.

ახლა ყველგან აღმართულია ახალმშენებლობათა ხარაჩოები. ხუთწლედის განმავლობაში სულ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, ვაჭრობაში და ა. შ. შეიქმნება 7.600 ობიექტი, მათ შორის 694 მსხვილი სამრეწველო საწარმო. ჩინეთს მშენებლობაში მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი.

ხუთი წლის განმავლობაში უნდა აშენდეს 15 თბოელექტროსადგური, 31 ქვანახშირის შახტი, რომელთაგან თვითეულის წლიური წარმადობა მილიონ ტონაზე მეტი იქნება. ორი საავტომობილო ქარხანა შეადგენს ჩინეთის საავტომობილო მრეწველობის საფუძველს. ერთმა მათგანმა ყოველწლიურად უნდა გამოუშვას 30 ათასი სატვირთო ავტომანქანა, მეორემ — ორჯერ მეტი. სატრაქტორო ქარხანა, რომელიც მწყობრში ჩადგება მეორე ხუთწლედში, სოფლის მეურნეობას წელიწადში მიაწვდის 15 ათას ტრაქტორს.

მნიშვნელოვნად იზრდება სურსათის წარმოება. გლეხობა სულ უფრო მტკიცედ ადგება კოლექტიური შრომის გზას. 1955 წლის გაზაფხულისათვის ჩინეთში იყო 670 ათასი კოოპერატივი; ხუთწლედის ბოლოსთვის ნავარაუდევია ამ კოოპერატივებში ჩაბმულ იქნას გლეხთა კომლების საერთო რაოდენობის დაახლოებით მესამედი. კოოპერაციის უმარტივეს ფორმებში — შრომითი ურთიერთდახმარების ჯგუფებში — ახლა უკვე ჩაბმულია გლეხთა ნახევარზე მეტი.

ხუთწლედის განმავლობაში აიგება სამრეწველო საწარმოები, საცხოვრებელი სახლები მუშებისათვის, სასწავლებლები და საავადმყოფოები, რომელთა საერთო ფართობი 150 მილიონ კვადრატულ მეტრს მიაღწევს.

ორჯერ და უფრო მეტად გაიზრდება სტუდენტების რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებში (თუ 1953 წელს იყო 210 ათასი, 1957 წელს იქნება 434 ათასი), 60 მილიონამდე ბავშვი ისწავლის დაწყებით სკოლებში. ამ ხნის განმავლობაში მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასი უნდა გაიზარდოს საშუალოდ 33 პროცენტით.

* * *

1955 წელი სახალხო ჩინეთის პირველი ხუთწლედის მესამე და გადამწყვეტი წელია. ამ წელზე მოდის დაახლოებით 40 პროცენტი ხუთწლედით გათვალისწინებული ყველა კაპიტალდაბანდებისა სამრეწველო მშენებლობაში.

ჩინეთის მუშათა კლასმა გააჩაღა შრომითი შეჯიბრება ახალი საწარმოების ვადამდე ამუშავებისათვის, ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. შეჯიბრებაში ჩაება მილიონობით მშრომელი. მუშების მასობრივ მოძრაობას შესანიშნავი შედეგები მოაქვს. ჩინეთის მეტალურგებმა 1955 წლის პირველი ნახევრის გეგმა 114,7 პროცენტით შეასრულეს, შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 9,3 პროცენტით. გადაჭარბებით არის შესრულებული ფოლადის, თუჯის, ნაგლინის, კოქსის წარმოების, მადნის ამოღების გეგმები. ამოღებულია 11,6 პროცენტით მეტი ქვანახშირი, ვიდრე 1954 წლის პირველ ნახევარში, მოიღებულია 18,3 პროცენტით მეტი ელექტროენერგია.

იზრდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური ძლიერება, მტკიცდება მისი საერთაშორისო მდგომარეობა. წარმატებით ახორციელებენ რა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გეგმას, ჩინეთის მშრომელები აღმოსავლეთის ყველა ხალხს უჩვენებენ, თუ რა უპირატესობა აქვს სახალხო-დემოკრატიულ წყობილებას, რომელმაც 600-მილიონიან ჩინელ ხალხს გზა გაუხსნა ბედნიერი მომავლისაკენ.

ვ. მიხეევი.

ინდოელ სპეციალისტთა დელეგაცია სსრ კავშირში

11 აგვისტოდან სსრ კავშირში სტუმრად არის ინდოელ სპეციალისტთა დელეგაცია წარმოების სამინისტროს მდივნის ს. ს. კერის მეთაურობით.

12 აგვისტოს დელეგაცია მიიღო ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსმა კ. ი. კოვალმა.

იმავე დღეს ინდოელ სპეციალისტთა დელეგაცია მიიღეს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროში. მიღებას დაესწრნენ: მინისტრი ა. გ. შერემეტიევი, მისი მოადგილენი — ვ. ს. ხლებნიკოვი, ა. ფ. ბორისოვი, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების პასუხისმგებელი მუშაკები. საუბარმა დაახლოებით ორ საათს გასტანა.

შემდეგ დელეგაცია მიიღო მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრმა კ. დ. პეტუხოვმა. მიღებას დაესწრნენ მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილეები კ. კ. ვინოგრადოვი, ტ. რ. ბობირევი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ა. ი. ცელიკოვი, სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

მოსკოვში ყოფნის დროს ინდოელმა სპეციალისტებმა დაათვალიერეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და მუდმივი სრულიად საკავშირო სამშენებლო გამოფენა, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა, იყვნენ ხიმკის სამდინარო ვაგზალზე, იმოგზაურეს მეტროთი, დაესწრნენ ფეხბურთის მატჩს „დინამოს“ სტადიონზე.

ინდოელი სპეციალისტები გაემგზავრებიან მაგნიტოგორსკში, სვერდლოვსკში, ნიჟნი ტაგილში, თბილისში, კრამატორსკში, ხარკოვსა და სხვა ქალაქებში, სადაც გაეცნობიან საბჭოთა სამრეწველო საწარმოების მუშაობას.

(საკდესი).

• • •

მაგნიტოგორსკი, 16 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა ინდოეთის სპეციალისტთა დელეგაცია წარმოების სამინისტროს მდივნის ს. ს. კერის მეთაურობით.

აეროდრომზე სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ ი. ბ. სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის ხელმძღვანელები, მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების წარმომადგენლები.

კომბინატის დირექტორის მოადგილემ ვ. რუდაკოვმა ინდოელ სპეციალისტებს გააცნო ჩვენი ქვეყნის ამ უდიდესი მეტალურგიული საწარმოს შექმნის ისტორია, მისი სტრუქტურა, მოკლედ დაახასიათა საწარმოო პროცესი.

დელეგაციის წევრები იყვნენ მაგნიტნაიას მთის მაღაროში, სადაც გაეცნენ რკინის მადნის განლაგების თავისებურებას და მის ხარისხს. სტუმართა დიდი ინტერესი გამოიწვია მადნის ამოღების, დახარისხებისა და გამდიდრების მოწინავე მეთოდებმა. ისინი აკვირდებოდნენ მძლავრი ექსკავატორების მუშაობას, ავიდნენ მემანქანის ჯიხურში, დაინტერესდნენ ელექტრომექანიკური მოწყობილობის სიმძლავრითა და სიმტკიცით. სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ სანგრევში მუშაობის ორგანიზაციას. შემდეგ იყვნენ სამსხვრევ, გამამდიდრებელ და საგლომერაციო ფაბრიკებში.

ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია სსრ კავშირში

რუბცოვსკი (ალტაის მხარე), 16 აგვისტო. (საკდესი). დღეს ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელსაც ლოუერენს სოტი მეთაურობს, ჩამოვიდა ალტაის მხარის ქალაქ რუბცოვსკში.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ ალტაის სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ს. ვ. შევჩენკო, სოფლის მეურნეობის სამხარეო სამმართველოს უფროსი მ. მ. ჩუხნო, რუბცოვსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ლ. ზიბარიოვი, რუბცოვსკის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ა. ი. რიაზანოვი, ქალაქ რუბცოვსკისა და ახლო რაიონების მშრომელთა წარმომადგენლები.

დელეგაციის წევრებს მიესალმა სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე ს. ვ. შევჩენკო. მან მიიწვია ისინი გასცნობოდნენ მუშაობას ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად.

საპასუხო სიტყვაში ლოურენს სოტმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი მიღებისათვის და დელეგაციის წევრთა სახელით კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მათ საშუალება მიეცათ ენახათ ალტაის მხარე.

• • •

ატბასარი (აკმოლინსკის ოლქი), 16 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია ჩამოვიდა ყაზახეთის სსრ ყამირი მიწების ათვისების ერთ-ერთ ცენტრში — ქალაქ ატბასარში. ამერიკელ სტუმრებს შეხვდნენ აკმოლინსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე მ. ე. ბუტინი, სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს უფროსი ს. ნ. სტრუკოვი, შორტანდიის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის დირექტორი ა. მ. გოლუბევი, კოსპარმაკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი მ. ს. ბოსენკო, ამ ცოტა ხნის წინათ ყამირ მიწებზე შექმნილი მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობების დირექტორები.

აღგილობრივი მცხოვრებნი მხურვალედ მიესალმნენ ამერიკის შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო დელეგაციას.

აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების გეოლოგებისა და სამთო ინჟინრების დელეგაცია ურალში

სვერდლოვსკი, 17 აგვისტო. (საკდესი). აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების გეოლოგთა და სამთო ინჟინერთა დელეგაცია, რომელიც აქ იმყოფება, ეცნობა ურალს. უცხოელმა სპეციალისტებმა დაათვალიერეს დეგტიარკის სპილენძის მაღაროები. მაღაროს ხელმძღვანელებმა გააცნეს სტუმრებს დეგტიარკის სპილენძის მადნის საბადო და უპასუხეს მათ ყველა კითხვაზე მადნის შემადგენლობის, შახტების სიმძლავრისა და წარმადობის შესახებ.

სპეციალისტთა ჯგუფი შახტში ჩავიდა. სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ თვალყური ედევნებინათ ურალში ცნობილი გვირაბგამყვანთა ბრიგადის მუშაობისათვის, რომელსაც ფ. პეტროვსკი ხელმძღვანელობს. უცხოელი სპეციალისტები იყვნენ სანგრევებში, დაათვალიერეს სატუმბავი კამერა, მიწისქვეშა ელექტროსადგური.

მაღაროს მუშათა სასადილოში სტუმრებს გაუმართეს სადილი, რომელშაც გულითად ვითარებაში ჩაიარა.

მაღაროელები გულთბილად მიესალმნენ უცხოელ სპეციალისტებს. დელეგაციის წევრებმა დიდი კმაყოფილება გამოთქვეს მაღაროების დათვალიერებისა და იმ ტექნიკური დახმარების გამო, რომელსაც საბჭოთა კავშირი აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებს უწევს. მათ განაცხადეს, რომ მხურვალედ სურთ განამტკიცონ მეგობრული კავშირურთიერთობა ერთობლივად იბრძოლონ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს განცხადება

დელი, 17 აგვისტო. (საკდესი). დღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ კვლავ წარმოთქვა სიტყვა სახალხო პალატაში და გააკეთა განცხადება გოას ამბების გამო.

ნერუმ განაცხადა, რომ 15 აგვისტოს გოას ტერიტორიაზე შევიდა 1.711 მოხალისე და დამანის ტერიტორიაზე 1.249 მოხალისე. მოკლულთა და ჭრილობებისაგან დახოცილთა საერთო რიცხვი შეადგენს 14-ს, მძიმედ დაჭრილია 13 კაცი და უკვალოდ დაიკარგა 20 კაცი.

გოას მოსახლეობამ, თქვა ნერუმ, აქტიური მონაწილეობა მიიღო 15 აგვისტოს მშვიდობიანი წინააღმდეგობის მოძრაობაში. გოას მცხოვრებლებმა ბევრგან გამოჰკიდეს ინდოეთის სახელმწიფო ალმები და პლაკატები ლოზუნგებით: „გაუმარჯოს ინდოეთს!“

ამ დღეებში პორტუგალიის ხელისუფლებმა დაპატიმრეს 70 გოელი, მათი უმეტესობა გაათავისუფლეს ცემის შემდეგ.

ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბრინჯი ძირითადი საკვები კულტურაა ვიეტნამში. ბრინჯის მინდვრებს იქ უდიდესი სივრცეები უჭირავს. ვიეტნამის ნაყოფიერი მიწა და ტენიანი ტროპიკული ჰავა ხელს უწყობს ბრინჯის უხვმოსავლიანობას. მე-17 პარალელის ჩრდილოეთით, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ბრინჯი ითესება თითქმის ორ მილიონ ჰექტარზე. ჩრდილოეთ ვიეტნამის ცენტრში დაახლოებით მილიონ ჰექტარ ფართობზე წელიწადში ბრინჯის ორი მოსავლის აღება შეიძლება (საშუალოდ ჰექტარზე სამ ტონამდე). არის ადგილები, სადაც ბრინჯის მოსავალი წელიწადში სამჯერ მწიფდება.

სურათზე: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ბრინჯს აბარებენ სახელმწიფოს.

ფოტო ვ. ოსიპოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირისა და ფინეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გამო

ჰელსინკში დამთავრდა მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. ამ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, 16 აგვისტოს ჰელსინკში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირსა და ფინეთს შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებს, რომ მხარეები, ესწრაფვიან რა ორივე ქვეყანას შორის მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, აწყობენ ურთიერთ მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობასა და ტექნიკური გამოცდილებისა და მიღწევების გაცვლას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე მეცნიერულ-კვლევით მუშაობაში.

ეს თანამშრომლობა განხორციელდება როგორც იმ გზით, რომ ერთმანეთს გადასცემენ ტექნიკურ დოკუმენტაციებსა და გაცვლიან შესაბამის ტექნიკურ ინფორმაციას, ისე აგრეთვე იმ გზით, რომ მიიავლინებენ, ნაცვალგების წესით, სპეციალისტებს, მეცნიერებსა და სტუდენტებს, რათა გაეცნონ მიღწევებს სამრეწველო წარმოების, სოფლის მეურნეობისა და მეცნიერული კვლევის დარგში.

შეთანხმება აგრეთვე ითვალისწინებს, რომ ორივე მხარე ხელს შეუწყობს მეცნიერული ლიტერატურის, მეცნიერული პერიოდული პრესისა და ბიბლიოგრაფიულ გამოცემათა ურთიერთგაცვლას.

მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განხორციელების ღონისძიებათა შემუშავებისა და შეთანხმებისათვის ამ შეთანხმების საფუძველზე მოწყობა საბჭოთა კავშირ-ფინეთის შერეული კომისია, რომელიც გამართავს თავის სესიებს წელიწადში ერთხელ მაინც, რიგრიგობით მოსკოვსა და ჰელსინკში.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის მხრივ საგარეო ვაჭრობის სამინისტროს დასავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ნ. ი. ჩეკლინმა და ფინეთის მხრივ მინისტრმა პ. ი. ჰიუნინენმა.

ფინეთის დელეგაცია ქალაქ კალინინში

კალინინი, 17 აგვისტო. (საკდესი). აქ ხუთ დღეს იყო სტუმრად ფინეთის ქალაქ ჰიმეენლინის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებისა და ქალაქ კალინინის საზოგადოებრიობის მოწვევით.

ფინელი სტუმრები გაეცნენ ქალაქ კალინინის მრეწველობასა და კულტურულ ცხოვრებას. მათ დაათვალიერეს ვაგონმშენებელი ქარხანა, ქარხნის პოლიკლინიკა, წყალსამკურნალო, იყვნენ ვაგონმშენებელთა კოლექტიურ ბაღში. დელეგაციამ მოაწყო ექსკურსია ბამბეულის კომბინატსა და ექსკავატორის ქარხანაში, დაათვალიერა ქალაქის ახალშენებანი, კომუნალური საწარმოები, თბოელექტროცენტრალ-4-ის მუშა-მოსამსახურეთა შვილების პიონერბანაკი, დრამატული თეატრი, ხელოვნური ბოჭკოს კომბინატის მუშათა კულტურის სასახლე.

პედაგოგიურ ინსტიტუტში დელეგაციის ხელმძღვანელს ტაპიო ჰირვისუოს მიართვეს ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ნივესის ორტომიანი შრომა „კალინინის ოლქის ფლორა“, ფოტოსურათების ალბომი, რომელიც ასახავს ინსტიტუტის ცხოვრებას. ბ-ნმა ჰირვისუომ თავის მხრივ მიართვა ინსტიტუტს ალბომი, რომელიც მოგვითხრობს ქალაქ ჰიმეენლინის ცხოვრებაზე.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ქალაქ ჰიმეენლინის ბურგომისტრმა ტაპიო ჰირვისუომ აღნიშნა მეგობრული და გულთბილი მიღება, რომელიც დელეგაციის წევრებს კალინინში მოუწყეს. ჩვენ, თქვა ბ-ნმა ჰირვისუომ, ყურადღება მივაქციეთ დიდ მშენებლობას, რომელიც მიმდინარეობს ყველგან ქალაქ კალინინში.

კალინინის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან ს. მ. ბაკულინთან მიღებაზე სტუმრებმა ქალაქ კალინინში ყოფნის სახსოვრად უძღვნეს აღმასკომს ბრონოს ვაზა წარწერით „ქალაქ ჰიმეენლინისაგან. 1955 წელი“.

დღეს დელეგაციის წევრები მოსკოვს გაემგზავრნენ, საიდანაც სამშობლოში წავლენ. ვამგზავრების წინ დელეგაციამ ყვავილებით შეამკო მ. ი. კალინინის ძეგლი.

დაღესის განცხადება პრეს-კონფერენციაზე

ვაშინგტონი, 17 აგვისტო. (საკდესი). გუშინ პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა წაიკითხა განცხადება საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების გამო — 640 ათასი კაცით შეამციროს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიცხვი.

„ჩვენ მივესალმებით, — ნათქვამია განცხადებაში, — საბჭოების გადაწყვეტილებას თავიანთი შეიარაღებული ძალების რიცხვის შემცირების შესახებ... თუ ეს აქცია შესრულდა, იგი ევროპის თათბირის საერთო სულისკვეთების შესაბამისი იქნება“.

აღიარა რა, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით მოხდება „საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირება“, დალესმა მაინც განაცხადა, რომ „ადვილი არ არის“ ვიმსჯელოთ ამ შემცირების სამხედრო მნიშვნელობაზე, რამდენადაც წარმოდგენილი არ ყოფილა ოფიციალური მონაცემები საბჭოთა შეიარაღებული ძალებისა და რეზერვების რაოდენობის შესახებ.

დალესის განცხადებით, ამ შემცირების შემდეგაც საბჭოთა მუდმივი შეიარაღებული ძალები, „უეჭველია, მნიშვნელოვნად მეტი იქნება“, ვიდრე შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები.

დალესმა მხარი დაუჭირა „ყოველმხრივ ინფორმაციის შეიარაღებული ძალების შესახებ და ქმედითს ინსპექციას ფაქტების შესამოწმებლად“ ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირზე პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადების შესაბამისად.

პასუხი გასცა რა კითხვებზე იმის შესახებ, რომ წარადგენენ თუ არა შეერთებული შტატები განიარაღების ახალ დასრულებულ გეგმას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომაზე, დალესმა განაცხადა, რომ ამ დარგში მთელი სიტუაცია განხილულ უნდა იქნას პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ზემოხსენებული განცხადების გათვალისწინებით. დალესმა დასძინა, რომ ეს განცხადება საფუძველია შეერთებული შტატების დამოკიდებულებისა განიარაღების მთელი პრობლემისადმი. უპასუხა რა კითხვაზე კორეის მდგომარეობის შესახებ, დალესმა სასურველად მიიჩნია ნეიტრალური კომისიის წევრთა გაყვანა ან მის მოვალეობათა შეზღუდვა.

მაგრამ, თქვა მან, ეს დამოკიდებულია იმაზე, დაეთანხმებიან თუ არა ამას სხვა დაინტერესებული ქვეყნები. დალესმა დასძინა, რომ, მისი აზრით, ძალის გამოყენება ბოლოს ვერ მოუღებს ისეთ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, როგორიც არის კორეის დაზავება.

პასუხი გასცა რა კითხვაზე, მიაჩნია თუ არა მას, რომ დადგა შორეული აღმოსავლეთის საკითხებზე კონფერენციის მოწვევის დრო და რა შეუძლია მას თქვას კიმ ირ სენის 15 აგვისტოს წინადადების გამო ასეთი კონფერენციის მოწყობის შესახებ, დალესმა აღნიშნა, რომ მან კიმ ირ სენის სიტყვის ტექსტი რამდენიმე წუთის წინ მიიღო და შესაძლებლობა არ ჰქონდა ყურადღებით წაეკითხა იგი.

კითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება ამ ბოლო დროს ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკება ჟენევაში, დალესმა განაცხადა, რომ რამდენადაც მან იცის, მიღწეული არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი პროგრესი.

აზიის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენცია

ჟენევა, 17 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის წარმოება მეტალურგიის წინაშე სახავს მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, რომელთა გადაჭრა საჭიროა ატომგულის ენერგეტიკულ დანადგართა წარმატებით კონსტრუირებისათვის.

ასეთი დანადგარების მშენებლობისათვის სულ უფრო მეტად საჭიროა ლითონები, რომლებსაც განსაკუთრებული თვისებები აქვთ, სახელდობრ, ქიმიურად სუფთა, განსაკუთრებით მკვიდრი, კოროზიაგამძლე, სიცხეგამძლე და სხვა ლითონები. ასეთი სპეციალური მასალები იხმარება ნეიტრონების შემნელებელთა წარმოებისათვის ატომურ რეაქტორებში და სხვა კონსტრუქციული ელემენტების წარმოებისათვის ატომგულის ენერგეტიკულ დანადგარებში.

ამ პრობლემის განხილვას მიეძღვნა ქიმიის, მეტალურგიისა და ტექნოლოგიის სექციის დღევანდელი სხდომა. კერძოდ, განხილულ იქნა მოხსენებანი უდიდესი სიხშირის ლითონის ცირკონიუმის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. ამ თემაზე მოხსენებები გააკეთეს ს. შელტონმა (ამერიკის შეერთებული შტატები), ე. ირემ (საფრანგეთი), ბ. პრაკაშმა (ინდოეთი).

სექციის დღევანდელ სხდომაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ბერილიუმისა და მისი ჟანგის წარმოების ტექნოლოგიისადმი მიძღვნილმა მოხსენებებმა.

პირველმა მოხსენება გააკეთა საბჭოთა მეცნიერმა გ. ა. მეიერსონმა. მან დაწვრილებით გააშუქა სუფთა ბერილიუმისა და ბერილიუმის ჟანგისაგან ნაწარმთა მიღების ტექნოლოგია, რომელიც შემუშავებული საბჭოთა კავშირში.

მოხსენებები გააკეთეს აგრეთვე ა. კაუფმანმა (ამერიკის შეერთებული შტატები), ბ. კიეთ (საფრანგეთი), ა. კაირომ (არგენტინა).

ქიმიის, მეტალურგიისა და ტექნოლოგიის სექციის დღის სხდომა მიეძღვნა თორიუმის, ურანისა და მათი შენადნობების მეტალურგიის საკითხების, აგრეთვე საწვავის ელემენტების დამზადებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.

ბიოლოგიისა და მედიცინის სექციამ დღეს განიხილა საკითხი, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებასთან, სახელდობრ—უშიშროების ნორმებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების საკითხი.

მაიონიზებელი გამოსხივების ზემოქმედებისაგან ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც სსრ კავშირში ხორციელდება, ლაპარაკი იყო საბჭოთა მეცნიერის ა. ნ. ლეტავეტის მოხსენებაში. ეს მოხსენება სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა ფ. გ. კროტკოვმა წარუდგინა კონფერენციას.

მოხსენებამ კონფერენციის დელეგატთა დიდი ინტერესი გამოიწვია. სექციის სხდომაზე, აგრეთვე შემდგომ პრეს-კონფერენციაზე ფ. გ. კროტკოვს ბევრი კითხვა მისცეს. აღინიშნა, რომ სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ არ არის მაიონიზებელი გამოსხივებისაგან დაცვის შუშაობის ისეთი მასშტაბები, როგორიც სსრ კავშირშია.

ამ დღეებში გორში ჩამოვიდნენ პიონერთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილენი, რომლებმაც დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი და გორის ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილები. ქართველ პიონერებთან ერთად იყვნენ სტუმრად მოწვეული პიონერებიც მოძმე რესპუბლიკებიდან. სურათზე: პიონერები ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმთან.

ფოტო შ. კუკულავასი.

რესპუბლიკის მასწავლებელთა ერთთვიანი კურსები

თბილისი წყარო. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა თბილისი წყაროში მოაწყო რესპუბლიკის საშუალო სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები. კურსები გაიარა რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონიდან ჩამოსულმა 73 მასწავლებელმა.

კურსების მსმენელებს ეკითხებოდათ ლექციები მათემატიკური სიგრძეების მეთოდიკაში. ლექციები მოეწყო აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის, პედაგოგიკისა და სასკოლო ჰიგიენის საკითხებზე.

სკოლებში პოლიტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირებით რამდენჯერმე მოეწყო თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების დამზადების პრაქტიკული მეცადინეობა. ერთთვიანი კურსების მსმენელებმა შეასრულეს მარტივი გეოდეზიური სამუშაოები მინდვრად.

გამოცდილების ურთიერთგაზიარების საღამო

სამტრედია. („კომუნისტის“ კორ.). ამას წინათ რაიონის კულტურის სახლისა და სარაიონო ბიბლიოთეკის ინიციატივით მოეწყო ქალაქის მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე ადამიანთა გამოცდილების ურთიერთგაზიარების საღამო თემაზე: „ფართო გზა ახალ ტექნიკას, მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას“.

თავიანთი მუშაობის გამოცდილების შესახებ საღამოზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ ადგილობრივი სამრეწველო კომბინატის სატრიკოტაჟო ფაბრიკის ინჟინერი ი. ოდილავაძე, აგურის ქარხნის სარემონტო სახელოსნოს გამგე ი. ხრაპაჩი, აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის ძაფის ამომღები ნ. გამყრელიძე, ამავე ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის განყოფილების გამგე ნ. კუნიცა, საორთოქლმაღალი დენის ზენაკალი შ. ეიკაჩიშვილი, სავაგონო დეპოს ფეხვითი საამქროს დურგალი ე. მიქელთაძე და სხვები.

რაიონის კულტურის სახლში მოეწყო მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე ადამიანთა მუშაობის პროცესების ფოტოსტენდი. საღამოს მიეძღვნა კულტურის სახლის კედლის გაზეთის „კულტმუშაკის“ სპეციალური ნომერი.

ბოლოს ნაჩვენები იქნა კინოსურათი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“.

სახვითი ხელოვნების გამოფენა ყაზბეგში

ამ დღეებში ყაზბეგის საშუალო სკოლის შენობაში გაიხსნა საქართველოს საბჭოთა საბჭვითი ხელოვნების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილ ქართველ საბჭოთა მხატვართა, მოქანდაკეთა და გრაფიკოსთა ნამუშევრებს ყოველდღიურად დიდი ინტერესით ათვალიერებენ რაიონის მშრომელები და საექსკურსიო-ტურისტული ჯგუფები.

სპორტის ამბები

ბეტებოლგის საფეხბურთოლოგო ტურნირი

ბეტებოლრბი, 17 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გაიმართა პირველი ორი ტურის გადადებული პარტიების გათამაშება. თამაშის განუახლებლად ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი ბისპაიერი დანებდა არგენტინელ გროსმაისტერ ნაიდორფს, ხოლო ნაიდორფი, თავის მხრივ, დანებდა თავის თანამემამულე პანოს. ჰოლანდიელმა მოჭადრაკემ დონერმა ზუსტი დაცვით ყაიმს მიაღწია პარტიაში კერესთან. გელერმა რთულ მდგომარეობაში ორიგინალურად ითამაშა სლოვას წინააღმდეგ და საინტერესო გართულებების შემდეგ მოიგო პაიკი. შემდეგ სსრ კავშირის ჩემპიონმა ზუსტი თამაშით გამარჯვებას მიაღწია.

ორი ტურის შემდეგ წინ არის საბჭოთა ოსტატი ილივიცკი, რომელმაც ორივე პარტია მოიგო.

გროსმაისტერი ი. ბოლდარევსკი.

ინგლისელი და საბჭოთა მძლეოსნების მომავალი შეხვედრა

საბჭოთა სასპორტო ორგანიზაციების მოწვევით მოსკოვს ჩამოდის დიდი ბრიტანეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი.

დიდი ბრიტანეთის ნაკრები გუნდის მოსკოვში ჩამოსვლა იმის საპასუხო ვიზიტია, რომ შარშან საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი ეწვია ინგლისს.

საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მძლეოსნებს შორის საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება გაიმართება 11 სექტემბერს „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე. თვითეული გუნდის შემადგენლობაში იქნება 65 უძლიერესი მძლეოსანი.

დიდ დისტანციაზე რბენაში ერთმანეთს შეხვდებიან მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მორბენალი კ. ჩატაუეი (ინგლისი) და საბჭოთა მორბენალი ვ. კუცი. როგორც ცნობილია, შარშან 5 ათას მეტრზე რბენაში შეჯიბრების დროს ორივე სპორტსმენმა დისტანცია დაფარა ერთ დროში — 13 წუთსა და 51,6 წამში. ეს ახალი მსოფლიო რეკორდი იყო. იგი კ. ჩატაუეის მიკუთვნეს, რადგან ინგლისელი სპორტსმენი პირველი შეეხო მკერდით ფინიშის ლენტს.

ინგლისელის ამ მსოფლიო რეკორდს დიდხანს არ უარსებნია. ჩეხოსლოვაკიის მორბენალ ე. ზატოპეკთან შეჯიბრებაში ვ. კუცმა 13 წუთსა და 51,2 წამში გაირბინა 5 ათასი მეტრი და ამით ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ორივე ქვეყნის ნაკრებ გუნდებს შორის შეჯიბრება მოეწყობა მძლეოსნობის 33 სახეობაში.

მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი

18 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი — მსოფლიო ჩემპიონი.

ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სსრ კავშირის ფეხბურთის სექციის ხელმძღვანელნი, მოსკოვის სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლნი, პრესისა და რადიოს მუშაკები. შემხვედრთა შორის იყო გერმანელ ტურისტთა დიდი ჯგუფი.

ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის მოხდება მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე 21 აგვისტოს. (საკდესი).

ჭაბუკთა ფინალური შეჯიბრება

15 აგვისტოს მოსკოვში „დინამოს“ მცირე სტადიონზე დაწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა ფინალური შეჯიბრება ფიზიკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის სპეციალურ პრიზზე. მასში მონაწილეობენ ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რსფსრ, მოსკოვის, უკრაინის, საქართველოს, ყირგიზეთისა და ლიტვის გუნდები.

პირველ ტურში უკრაინის გუნდმა დამარცხა ლიტვის გუნდი ანგარიშით 7:0, საქართველოს ნაკრებმა მოუგო ყირგიზეთს — 5:1. ფრედ 0:0 დამთავრდა მოსკოვისა და რსფსრ გუნდების შეხვედრა.

მეორე ტური გაიმართა 17 აგვისტოს. რსფსრ გუნდმა მოუგო ყირგიზეთს — 4:0, მოსკოვის ნაკრებმა ლიტვის გუნდს — 3:0, უკრაინის ჭაბუკებმა საქართველოს — 1:0.

ფინალური შეჯიბრება ეწყობა წრიული სისტემით და გაგრძელდება 25 აგვისტომდე.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

დღეს თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **თბილისი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — ჭირვეული მარიეტა, **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — ნესტერკა, **კომკავშირელი, დიდუბე** (საზამთრო)—ჩრდილები მწვერვალს ტოვებენ, **კოლხიდა** (საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — სიყვარულის ასაკი, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი, გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მეშვიდე ცა, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ორი გროში ომედი, **ისანი** (საზაფხულო) — სათადარიგო მოთამაშე, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო)—ზომალდებს იერიში მიაქვთ ბასტიონებზე, **დიდუბე** (საზაფხულო)—სახიფათო მსგავსება.

თბილისის ოართოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს კლინიკური ორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად (ორთოპედიაში).

ყველა საჭირო საბუთი წარმოდგენილ უნდა იქნას ორ ცალად, თანახმად კონკურსის თაობაზე არსებული წესისა.

კონკურსის ვადა 20 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

განცხადებები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში კალინინის ქ. № 51.

დედა მაკო, მეუღლე თამარ, შვილები მზია, ნაზი, ნესტორ, მარინე, დები ნინო, მერი, ლენა, თინა, ძმა ბორის ოჯახებით იუწყებიან

შალვა ნესტორის-ძე ასათიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-VIII ქ. ქუთაისში, გამოსვენება ნინოშვილის ქ. № 175.

შვილები ბეგლარ, ნიკოლოზ, სასო ოჯახებით იუწყებიან

**პელაგია მოსეს ასულ ბუხალ